საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუნი სიფაქვაა, ფაქტიურებით და ჭიანურებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკანონისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 4 იანვარი. 2023 წ. №1 (9533) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

თქვენი მოღვაწეობა სარწმუნოების, მეცნიერებისა და განათლების ჰარმონიული შერწყმის თვალსაჩინო მაგალითია

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს ილია II-ს

უწმინდესო და უნეტარესო!

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, რომლის საპატიო წევრი თქვენ ბრძანდებით, გულითადად გილოცავთ 90-ე დაბადების დღეს და აღსაყდრებიდან 45-ე წლისთავს.

განუზომელია თქვენი ღვაწლი საქართველოსა და მისი სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე: თქვენ ჩაიბარეთ თითქმის უმრევლო ეკლესია 50-მდე მოქმედი ტაძრით და ორმოციოდე სასულიერო პირით... თქვენი დიდი ძალისხმევით დაიწყო და დღითი დღე იზრდება საქართველოს ეკლესიის აღმავლობის პროცესი და დღეს სახელოვან იუბილეს გილოცავთ 50-მდე ეპარქიის 2000-ზე მეტი ტაძრის 3000-მდე სასულიერო პირი და ასიათასობით მართლმადიდებელი თანამემამულე ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ გაფანტული ქართველები, რომლებიც თქვენი დაუცხრომელი ზრუნვით მტკიცედ ინარჩუნებენ მუდმივ ერთობას დედა-ეკლესიასთან და მშობლიურ ფესვებთან.

თქვენი ბრძნული გადაწყვეტილებებით საქართველოს ეკლესია გასცდა თანამედროვე საქართველოს სახელმწიფო საზღვრებს და თავის წიაღში შემოიკრიბა დედა-სამშობლოს მოწყვეტილი ქართული ისტორიული მხარეები.

თქვენი ღვაწლითა და ბრძნული საქმეთმპყრობელობით საქართველოს ეკლესიამ უდიდესი საერთაშორისო ავტორიტეტი მოიპოვა ქრისტიანულ სამყაროში და გულწრფელი პატივისცემა განსხვავებული სარწმუნოების მიმდევართა შორის.

თქვენი დაუღალავი ზრუნვის შედეგია სასულიერო განათლების აღორძინება საქართველოში. თქვენი მოღვაწეობა სარწმუნოების, მეცნიერებისა და განათლების ჰარმონიული შერწყმის თვალსაჩინო მაგალითია.



უწმინდესო და უნეტარესო, დიდი სიხარულით ვუერთდებით მადლიერი ქართველი ხალხის საყოველთაო ამაღლებულ განწყობილებას, გისურვებთ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას ჩვენი ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ.

უღრმესი პატივისცემით,

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სახელით პრეზიდენტი, აკადემიკოსი

გიორგი კვესიტაძე

6

თანამდევ სულთა ზორის

ფეხბურთის არისტოკრატი

10

ნოდარ ახალკაცი: ვლადიმერ ბარქაია ისეთ ფეხბურთს თამაშობდა, როგორსაც ასი წლის შემდეგ ითამაშებენ.

გვარის სიამაყეს მისი თავკაცი განსაზღვრავს

უწმინდესი ილია II, დავით ონოფრიშვილი და მისი დედა ლიანა თაბაგარი, 2019 წლის თებერვალი

5

9

„ყილოშტყებამი“ — უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ უზადო თარგმანი



პატრიარქი ილია მეორე:

ერის მომავალი უნდა იყოს მშვიდობიანი!

ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ მომავალი ადამიანისა და ერისა უნდა იყოს მშვიდობიანი, – ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საახალწლო მილოცვაში აღნიშნა.

დაგვიდგა ახალი წელი. დღეს ჩვენ გვესმის დავით მეფის, წინასწარმეტყველის სიტყვები, „მაუწყე მე, უფალო, გზაი, რომელსაცა ვიდოდე“. ყოველმა ადამიანმა და ყოველმა ერმა უნდა შეარჩიოს თავისი გზა, თავისი მომავალი. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ მომავალი ადამიანისა და ერისა უნდა იყოს მშვიდობიანი. ჩვენ გვაწუხებს ურთიერთობა, რომელიც არის რუსეთსა და უკრაინას შორის და არის დიდი პრობლემის წინაშე. იმედი მაქვს, რომ დასძლევს მშვიდობა და მშვიდობა მოიცავს ორივე ქვეყანას.

რაც შეეხება საქართველოს, იმედი მაქვს, რომ ყველაფერი მშვიდობიანი გზით მოგვარდება. გისურვებთ ჯანმრთელობას, მშვიდობიან მომავალს. დიდება მაღალსა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება. ამინ!..

პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი:

ქართველებო, არ დატოვოთ ამ ქვეყანაში სიცარიელე!

დღეს მსოფლიოში ორი კატეგორიის ადამიანები არიან: ვისაც სჯერა, რომ სრულდება ერთი ეპოქა, ვისაც სჯერა, რომ არაფერია მუდმივი მსოფლიოსა და გეოპოლიტიკაში და რომ ყველასთვის ახალი პერსპექტივა ჩნდება, რომ რუსეთი ბოლოს დაუბრუნდება თავის საზღვრებს და დასრულდება სხვა ქვეყნების ოკუპაცია. ეს არის ის პერსპექტივა, რაც უკრაინის ბრძოლამ გაგვიხსნა და რისთვისაც ჩვენ უზომოდ მადლიერნი ვართ. ეს წელი ასევე, დიდი და ახალი იმედების წელი იყო, ევროპული იმედების წელი და ნაწილობრივ იმედგაცრუების. მაგრამ ჩვენ მივიღეთ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია — ევროპული პერსპექტივა, რამაც სამუდამოდ დაასრულა ის გეოგრაფიული კითხვის ნიშნები, რაც საქართველოს მიმართ არსებობდა — ვართ თუ არა ევროპაში. პერსპექტივა იმას ნიშნავს, რომ ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ვართ. ჩვენ მხოლოდ ის უნდა დავამტკიცოთ, რომ ის ჩვენი, ქართული ღირებულებები, რაც ამავდროულად, ევროპული ღირებულებებია, არის ის, რაც დღეს გვამოძრავებს. ამას თუ დავამტკიცებთ (და ეს ჩვენში პრაქტიკულად არსებობს), ჩვენ იმ იმედგაცრუებასაც გადავლახავთ და 2023 წელი, ნამდვილად, ევროპის წელი იქნება.

მინდა ვუსურვო ახალგაზრდებს, რომ ეს მათი წელი იყოს, მათთვის არის ქართული, ევროპული მომავალი. მინდა, რომ თქვენ, ამ ქვეყანას აღარ ტოვებდეთ, და პირიქით, ბრუნდებოდეთ, რადგან დღეს, თქვენ ამ ქვეყანას ყველაზე მეტად სჭირდებით. მინდა, მივმართო დიასპორას, ვუსურვო ძალიან ბედნიერი წელი და ვუთხრა, რომ დღეს, ალბათ, დაბრუნების დროა, რამეთუ, ახალი, ევროპული პერსპექტივა თქვენზეცაა დამოკიდებული. თქვენ ხართ ის, ვისაც შეუძლია აქ ჩამოიტანოს სწორედ ის წესები და სტანდარტები, რომელიც ესოდენ გვჭირდება. თქვენ უნდა ჩამოხვიდეთ აქ, რადგან არ უნდა დატოვოთ ამ ქვეყანაში სიცარიელე, რომელიც შემდეგ სხვებისგან იქნება შევსებული.

მინდა, 2023 წელი მივულოცო დღეს ძალიან მძიმე პირობებში მყოფ ჩვენს მოქალაქეებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. ძალიან მძიმე პირობებში მყოფებს, რამეთუ ომი მათზე ვრცელდება პირდაპირ თუ ირიბად და ჩვენ ჩვენს ადგილზე უნდა ვიდგეთ, თქვენ გვერდით უნდა ვიყოთ, რათა ყველანაირად დავიცვათ თქვენი იდენტობა, თქვენი ენა და ჩვენი ერთად ყოფნა. მე არ ვიცი, ეს მონაკო იქნება, თუ სხვა რამ, მაგრამ მე ვიცი, რომ ჩვენ უნდა გიადვილებდეთ დღევანდელ ყოფას, თქვენზე უნდა ვრცელდებოდეს და ბევრად ადვილად გაძლევდეთ მოქალაქეობის საბუთებს, რათა თქვენ საქართველოდან შეძლოთ ევროპასთან დაახლოება.

მინდა, ეს წელი მივულოცო ჩვენს პატრიარქს. რამდენიმე დღეში ვიზეიმებთ მის დაბადების დღეს. მინდა ვთქვა, რომ თქვენ ჩვენთვის მომავალი წლისთვის და შემდეგაც, ასევე, დიდი იმედის მომცემი ხართ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი:

...მადლიერება, იმედი, თავისუფლება ჩვენი იდენტობის ნაწილია!

გამოწვევებისა და რისკების გაცნობიერებით, ჩვენი პოლიტიკა, ჩვენი გადაწყვეტილებები, ჩვენი მოქმედებაც და ჩვენი მთავარი სათქმელიც მხოლოდ ჩვენი ხალხისა და ქვეყნის ინტერესებს, მის სტაბილურობას, უსაფრთხოებასა და მის უკეთეს მომავალს ეფუძნება. ამ გონიერი და შედეგებზე ორიენტირებული პოლიტიკის კონკრეტული ნაყოფია მშვიდობა, სტაბილურობა და ეკონომიკის უპრეცედენტო ზრდა, რომელიც ჩვენი ხალხის კეთილდღეობის კიდევ მეტ საშუალებას იძლევა. ჩვენი ეროვნული ინტერესები, სახელმწიფოსა და ხალხის უსაფრთხოება, მისი სტაბილური მომავალი ჩვენი მთავრობის ამოსავალი და მთავარი სტრატეგიის საყრდენია. ქართველი ხალხი გონიერებას მუდამ ზომიერებით ზომავდა, მცირერიცხოვანი, მრავალჭირნანახი ერის მთავრობას განსაკუთრებული ზომიერება და გონიერება მართებს დღევანდელ მრავალრისკიან გარემოში. საქართველოს მოსახლეობა, მათ შორის ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ჩვენი თანამემამულენი, ჩვენი აფხაზი და ოსი ძმები სულ უფრო რწმუნდებიან, რომ საქართველო სტაბილურობით, სიმშვიდით, უსაფრთხოებით, განვითარების ტემპით მათთვისაც სასურველი სახლია, სადაც ისინიც დაცულად ყველა იმ სიკეთით და კეთილდღეობით ისარგებლებენ, რომლებიც ჩვენი ქვეყნისთვის ევროპული პერსპექტივით იქმნება და მომავალში კიდევ უფრო განვითარდება. მე მჯერა, ჩვენ ისევ ერთად ვიცხოვრებთ ერთიან, ძლიერ საქართველოში. კიდევ ერთხელ მთელი გულით ვულოცავ ახალ წელს ჩვენს აფხაზ და ოს ძმებსა და დებს. თავისუფლებისმოყვარე, ამაყ ქართველ ხალხს სირთულეებთან დანებება და შეგუება არ გვჩვევია.

ჩვენი ახალი ხედვით, ამბიციური, მასშტაბური გეგმებითა და პროექტებით და მეტი შემართებით ვეგებებით 2023 წელს, უკეთესი, კიდევ უფრო წარმატებული, უფრო ბარაქიანი და მშვიდი წლის მოლოდინში. ჩვენი საერთო სამშობლოს წინსვლა.

ჩვენი ხალხის ჯანმრთელობა და მათი სოციალური კეთილდღეობა, ჩვენი ხელისუფლების მთავარი მიზანი იყო და მომავალშიც ასე იქნება. ჩვენ ერთად დავძლევთ ყველა შიდა თუ გარე დაბრკოლებასა და გამოწვევას, ერთად გავუმკლავდებით ჩვენი ხალხისა და ქვეყნის წინაშე არსებულ ყველა სირთულეს და ერთად გავაგრძელებთ ქვეყნის განვითარებასა და გაძლიერებას. ძვირფასო მეგობრებო, ჩვენს საზოგადოებას კარგად ესმის, რა სჭირდება მას და რა სჭირდება დღეს ჩვენს ქვეყანას წინსვლისა და კეთილდღეობისთვის. ჩვენ გვესმის ჩვენი ხალხის დაკვეთა და ჩვენ ვასრულებთ ჩვენი ხალხის ნებას, ჩვენ ვემსახურებით მხოლოდ საქართველოს ინტერესებს. მადლიერება ქართველთა ერთ-ერთი ძვირფასი ღირებულებაა, ხოლო იმედი და თავისუფლება ჩვენი იდენტობის ნაწილია, ამიტომ მადლიერებით გავაცილოთ 2022 წელი და იმედით, პოზიტიური განწყობითა და შემართებით შევეგებოთ 2023 წელს...

თბილისის მერი ქახა კალაძე:

დაე იყოს მშვიდობა და სიყვარული!

მივესალმები თბილისს, სრულიად საქართველოს. მინდა მივესალმო სხვადასხვა ქვეყანაში მყოფ ჩვენს თანამემამულეებს. მივესალმები ჩვენს აფხაზებს, ოსებს. დღეს, საქართველოს ულამაზესი დედაქალაქიდან ვაგზავნით სურვილებს მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მცხოვრები ყოველი ოჯახისთვის. დაე იყო მშვიდობა, სიყვარული, მეტი პატივისცემა ადამიანებს შორის! დაე იყოს კეთილდღეობა! დღეს ამ სცენიდან, ჩვენი ტოლერანტული, მრავალჭირ-ვარამის მნახველი და მაინც სიყვარულით, სიცოცხლით სავსე ქალაქიდან მინდა მოგილოცოთ 2023 წლის შემობრძანება. მინდა, პირველ რიგში გისურვოთ მშვიდობა. დღეს, მთელი მსოფლიო არის უდიდესი გამოწვევის წინაშე და ყველაზე ძვირფასი, ყველაზე მნიშვნელოვანი არის მშვიდობა. მინდა, მშვიდობა ვუსურვო ჩვენს მეგობარ უკრაინელ ხალხს. მინდა, რომ 2023 წელი იყოს კიდევ უფრო მეტი წარმატების მომტანი, კიდევ უფრო მეტი სიცოცხლით, სიყვარულით სავსე. გილოცავთ, ჩემო მეგობრებო. პირველ რიგში, გისურვებთ ჯანმრთელობას, რაც ყველაზე მთავარია. გისურვებთ კეთილდღეობას, დღეგრძელობას, მხნეობას, სულიერ სიმშვიდეს და დარწმუნებული ვარ, 2023 წელი იქნება კიდევ უფრო მეტი წარმატების მომტანი ჩვენი ქვეყნისთვის.

...ამბობენ, ამ ჯადოსნურ ღამეს სურვილები ხდებაო. მოდით, ნამდვილი დღესასწაული ვუსურვოთ ყველა იმ ადამიანს, იმ ოჯახს, ვისაც დღეს ყველაზე მეტად უჭირს; ჯანმრთელობა ვუსურვოთ ყველა იმ ადამიანს, ვინც დღეს საახალწლო სუფრას ვერ მიუჯდა. გილოცავთ ახალ 2023 წელს! გამარჯვებები, წინსვლა, ბედნიერება, სიხარული არ მოგკლებოდეთ. მიყვარხართ!

2022 წლის მთავარი მიღწევები მეცნიერებაში

2022 წელი მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში მართლაც დატვირთული წელი იყო. უკრაინაში მიმდინარე ომს, რა თქმა უნდა, გავლენა ამ სფეროებზეც აქვს, მაგრამ მნიშვნელოვანი სამეცნიერო მიღწევები კაცობრიობას მაინც ჰქონდა. გასაოცარი ფოტოები კოსმოსიდან, ბირთვული სინთეზი, ღორის გულის ტრანსპლანტაცია, ინფექციური დაავადებები და ა. შ. შევეცადეთ, მნიშვნელოვანთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რამდენიმე სამეცნიერო მიღწევა და აღმოჩენა გამოგვერჩია, რომელთა შესახებ მოკლედ გიამბობთ.



ბირთვული სინთეზი

აშშ-ის ლოურენს-ლივერმორის ეროვნული ლაბორატორიის მეცნიერებმა დეკემბერში გვამცნეს, რომ პირველად წარმოქმნეს სინთეზის რეაქცია, რომლის დროსაც უფრო მეტი ენერგია გამოიყო, ვიდრე მის დასაწყებად დაიხარჯა. ამის მიღწევას მეცნიერები უკვე ათწლეულებია ამაოდ ცდილობდნენ და შესაბამისად, ეს გახლავთ ნამდვილი გარღვევა – ენერგიას მივიღებთ იმავე პროცესისგან, რომელიც მზეში მიმდინარეობს. რაც მთავარია, ენერგიის მიღების ეს გზა აბსოლუტურად სუფთაა და არ გამოიყოფა ნახშირბადი.

სინთეზის პროცესში, მსუბუქი ელემენტის, მაგალითად, წყალბადის ორ ატომბირთვს კოლოსალური სიჩქარით შეჯახებას და ერთმანეთთან შერწყმას აიძულებენ. მიღებული მასა უზარმაზარი ოდენობის ენერგიად გარდაიქმნება, აინშტაინის ფორმულა $E=mc^2$-ის მიხედვით. გახლეჩისგან განსხვავებით, რომელშიც ატომები იხლიჩება, სინთეზი მოითხოვს მცირე ოდენობით ჩვეულებრივ საწვავს – ერთი წყლის ჭიქის ოდენობის წყალბადისგან შესაძლებელია წარმოიქმნას იმდენი ენერგია, რომელიც ერთ ადამიანს მთელი ცხოვრების განმავლობაში ეყოფა. თანაც, ამ დროს არ წარმოიქმნება რადიოაქტიური ნარჩენები, რის გამოც, ამ რეაქციას „მომავლის ბირთვული ენერგიის წმინდა გრაალს“ უწოდებენ.

ჯეიმს ვების კოსმოსური ტელესკოპი

ამბავი, რომელსაც მეცნიერება ათწლეულები ელოდებოდა, ჯეიმს ვების კოსმოსურმა ტელესკოპმა მუშაობა წარმატებით დაიწყო. 2021 წლის დეკემბერში გაშვებულმა ტელესკოპმა 2022 წლის ივლისში პირველად გადაიღო კოსმოსის წარმოუდგენლად გასაოცარი ხედები.

მას შემდეგ, ვები ძალებს იკრებს და იმაზე უკეთესად მუშაობს, ვიდრე მის შემქმნელებს წარმოედგინათ. ამყარებს რეკორდებს, რომლებსაც ერთ თვეში თავადვე ხსნის. მისი მთავარი მიზანი დიდი აფეთქების შემდეგი პერიოდის შესწავლაა, სამყაროს ყველაზე შორეული მისადგომებისა და გალაქტიკების გადაღება, რათა საბოლოოდ გავცეთ პასუხი კითხვებს სამყაროს წარმოშობის შესახებ.

მიღწევები ტრანსპლანტაციაში

იელის უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფი ჟურნალ Nature-ში იუწყებოდა, რომ გააცოცხლეს გულის, ღვიძლის, თირკმლისა და თავის ტვინის უჯრედები ღორებში, რომლებიც ლაბორატორიაში ერთი საათით ადრე მოკვდნენ. ამისათვის გამოიყენეს მოწყობილობა, რომელიც ძალიან ჰგავს გულ-ფილტვის აპარატს და ღორის სხეულებში ტუმბავს სპეციალურად დამზადებულ ხსნარს, სახელად OrganEx. ღორების გულებმა მუშაობა დაიწყეს და ხსნარი მათ ვენებში გადატუმბეს.

თავად ღორები არ გაცოცხლებულან, მაგრამ მათმა ორგანოებმა ფუნქციონირება კვლავ დაიწყეს. მკვლევრებს იმედი აქვთ, რომ მათი მიღწევა დიდ დახმარებას გაგვიწევს ადამიანის ორგანოების გადანერგვის მიმართულებით, რადგან შესაძლებელი იქნება გამოსადეგი ორგანოების მიღება ადამიანთა სიკვდილიდან საკმაო ხნის შემდეგაც. ტექნოლოგია შეიძლება გამოსადეგი იყოს გულის შეტევებისა და ინსულტის ზიანის შესამცირებლადაც.

გრიპის უნივერსალური ვაქცინა

გრიპის წინააღმდეგ ბრძოლა ყოველ წელს ახალი გამოწვევაა, რადგან გრიპის ვირუსები გამუდმებით განიცდის მუტაციას. ზოგ წელს ვაქცინები ეფექტიანია, ზოგჯერ კი არც ისე.

პენსილვანიის უნივერსიტეტის ჯგუფმა შექმნა გრიპის ვაქცინა, რომელიც mRNA მოლეკულას (ინფორმაციული რნმ) ეფუძნება – იმავე ტექნოლოგიას, რომელიც Moderna-მ და Pfizer/BioNTech-მა გამოიყენეს COVID-19-ის ფართოდ აღიარებული ვაქცინების შესაქმნელად. თაგვებზე ჩატარებულ ტესტებში, ექსპერიმენტულმა ვაქცინამ ანტისხეულები წარმოქმნა A და B ტიპის გრიპის 20 ცნობილი შტამის წინააღმდეგ, რომელთა ეფექტიანობაც ოთხ თვეს გაგრძელდა. შედეგები იგივე აღმოჩნდა ქრცვინებში ჩატარებულ ტესტებშიც, რაც აძლიერებს იმედს, რომ ეს უნივერსალური ვაქცინა ადამიანებშიც ეფექტიანი იქნება.

ასტეროიდისთვის ტრაექტორიის შეცვლა

თუ ნანახი გაქვთ „არმაგედონი“, „დიდი დაცემა“ ან სხვა რომელიმე ისეთი ფილმი, რომელშიც ასტეროიდი დედამიწაზე სიცოცხლეს მოსპობით ემუქრება და ძალიან შეგეშინდათ, შეგიძლიათ, მშვიდად იყოთ. წელს NASA-მ საკუთარი მისია ორმაგი ასტეროიდის გადამისამართების ტესტით (DART) დაამტკიცა, რომ აქვს უნარი, მიმართულება შეუცვალოს დედამიწისკენ მომავალ გიგანტურ ასტეროიდს. NASA-მ კოსმოსური აპარატი DART-ი 160 მეტრის სიგანის ასტეროიდ დიმორფოსისკენ გაუშვა და დიდი სისწრაფით შეაჯახა, რათა ენახა, იქნებოდა თუ არა დარტყმის ძალა მისთვის ტრაექტორიის შესაცვლელად.

დიმორფოსი სინამდვილეში დედამიწისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს; გარს უვლის დაახლოებით 390 მეტრის სიგანის ასტეროიდ დიდიმოსს. შეჯახებამდე, ერთი გარშემოვლისთვის მას 11 საათი და 55 წუთი სჭირდებოდა. მას შემდეგ, რაც 26 სექტემბერს DART-ი დიმორფოსს შეეჯახა, მისი ორბიტა 11 საათი და 23-წუთიანი გახდა, ანუ შემცირდა 32 წუთით, რაც მისი ორბიტის მნიშვნელოვან ცვლილებაზე მიუთითებს.



„ჩვენი მშობლიური პლანეტის დაცვა ყველა ჩვენგანის პასუხისმგებლობაა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სხვა პლანეტა ჩვენ არ გვაქვს. მისიამ აჩვენა, რომ NASA ცდილობს, მზად იყოს იმ შემთხვევისთვის, თუკი სამყარო რაიმე სახიფათოს გვესვრის“, – განაცხადა NASA-ს ხელმძღვანელმა ბილ ნელსონმა.

მალარიის საწინააღმდეგო ახალი ვაქცინა

მალარია დღეს 90 ქვეყანაშია გავრცელებული და ყოველწლიურად დაახლოებით 627 000 ადამიანს კლავს. ვაქცინას შეუძლია, სიკვდილიანობა შეამციროს ან სრულიად აღმოფხვრას, მაგრამ მალარიის ეფექტიანი ვაქცინის შექმნას მეცნიერები დიდხანს ცდილობდნენ.

COVID -19-ის რამდენიმე ვაქცინაში გამოყენებული mRNA ტექნოლოგიით, ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის მკვლევრებმა წელს მალარიის ორი ექსპერიმენტული mRNA ვაქცინა შექმნეს; ცდებმა აჩვენა, რომ ისინი ძლიერ ეფექტიანია მალარიის ინფექციურობისა და გადადების შემცირების თვალსაზრისით.

მიღწევები კიბოს მკურნალობაში

მეცნიერები იუწყებიან, რომ მნიშვნელოვანი პროგრესია კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის რამდენიმე ფრონტზე. აშშ-ის კიბოს კვლევის ინსტიტუტის მკვლევართა ჯგუფმა, კომპანია BenevolentAI-სთან ერთად, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით შექმნა პრეპარატთა კომბინაცია, რომელიც ებრძვის ბავშვების თავის ტვინის განუკურნებელ კიბოს – diffuse intrinsic pontine glioma-ს. პრეპარატთა ამ კომბინაციამ თაგვებში გადარჩენის შანსი 14 პროცენტით გაზარდა და გაიტესტა ბავშვების მცირე ჯგუფშიც.

მნიშვნელოვანი მიღწევებია სხვა ტიპის კიბოების წინააღმდეგ ბრძოლაშიც.

ადამიანის უჯრედების შეყვანა ვირთხების თავის ტვინში

სტენფორდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ლაბორატორიის ახლად დაბადებული ვირთხების თავის ტვინში ადამიანის ნერვული უჯრედები შეიყვანეს და დაადგინეს, რომ მათ კავშირი დაამყარეს ცხოველის თავის ტვინის უჯრედებთან და დაიწყეს მათი ქცევების ხელმძღვანელობა.

მეცნიერებს იმედი აქვთ, რომ ამ გზით, გაცილებით მეტს გაიგებენ შიზოფრენიის, აუტისტური სპექტრის აშლილობის, ბიპოლარული აშლილობისა და სხვა ნეიროფსიქიატრიული დაავადებების შესახებ.

გარემო

კლიმატის ცვლილების ეფექტებს მსოფლიო წლიდან წლამდე უარესად გრძნობს ექსტრემალური ამინდის სახით. 2022 წელს გამოვლინდა მრავალი სითბური ტალღა, ინდოეთიდან დაწყებული, ბრიტანეთით დამთავრებული, სადაც აღრიცხულთა შორის ყველაზე ცხელი დღე დადასტურდა.

სასტიკად დაზარალდა ჩინეთი, სადაც ორთვიანი სითბური ტალღა ყველაზე ექსტრემალური იყო კაცობრიობის მიერ აღრიცხულ ისტორიაში. პაკისტანში მომხდარ გამანადგურებელ წყალდიდობებს გაერომ კლიმატური კატასტროფა უწოდა. არქტიკასა და ანტარქტიდაში მაღალი ტემპერატურა რეკორდულ ნიშნულებამდე ამცირებს ზღვის ყინულის დონეს.

ნაწილაკების ფიზიკა

თუ ეს ყველაფერი საკმარისი არ არის, წარმოიდგინეთ, რომ ფიზიკოსთა ჯგუფმა მთელი წელი იმის გარკვევაში გაატარა, საჭიროებს თუ არა რეალობის ამჟამინდელი მოდელი ცვლილებას.

როგორც მათ გვამცნეს, ფუნდამენტური ნაწილაკის, W ბოზონის მასა ძლიერ განსხვავდება ნაწილაკთა ფიზიკის სტანდარტული მოდელის მიერ პროგნოზირებულისგან. ასეთი შედეგი მნიშვნელოვან თავსატეხად იქცა და ამოხსნას საჭიროებს, თუკი სამყაროს საშენი მასალის სიღრმისეულად გაგება გვსურს.

მთვარის მისია „არტემის 1“

მრავალჯერ გადადების შემდეგ, NASA-მ გაუშვა მისია „არტემის 1“. კაფსულა „ორიონმა“ მთვარეს შემოუფრინა და გახდა ადამიანთა ფრენისთვის შექმნილი პირველი ხომალდი, რომელიც დედამიწიდან ყველაზე შორს გაფრინდა. დეკემბერში ხომალდი უსაფრთხოდ დაეშვა უკან, დედამიწაზე. თუმცა, ეს მხოლოდ სატესტო ფრენა იყო.

2024 წელს NASA გაუშვებს „არტემის 2“-ს, ამ პროექტის პირველ ეკიპაჟიან მისიას; გაშვებისას სააგენტო გამოიყენებს Space Launch System-ის რაკეტის კიდევ უფრო მძლავრ ვერსიას. ისიც ორბიტული მისია იქნება, დაახლოებით „აპოლო 8“-ის მსგავსი, რომელმაც მთვარეს წრე დაარტყა და დედამიწაზე დაბრუნდა.

ასტრონავტები მთვარის ორბიტაზე ამჯერად უფრო მეტ დროს გაატარებენ და გატესტავენ თითქმის ყველაფერს. 2025 წლისთვის დაგეგმილია „არტემის 3“, რომელიც მთვარის ზედაპირზე ასტრონავტებს ჩაიყვანს; პირველად 1972 წლის შემდეგ, ადამიანები მთვარის ზედაპირზე ფეხს კვლავ დადგამენ.

ეჭვგარეშეა, რომ 2023 წელი მეცნიერებაში კიდევ უფრო დატვირთული და ამაღელვებელი იქნება....

მიხეილ ჭაბუკაშვილი

...ღამე რომ გაგვიმზიანე!

ᲘᲚᲘᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲡ

მოკვდავთა ურვა თქვენს განცდილთან მოგონილია,
სისხლის ცრემლებმა დაგისველეს ბევრჯერ კაბანი.
ეგ სიტყვა ხშირად სატევარზე უფრო მჭრელია,
ფიქრობს მამულზე აიაზმით შუბლი ნაბანი.

როცა სამშობლოს ხელებიდან ურცხვად გაცლიან,
როს მოთმინება „საბათქანი ილი, ილი“-ა,
ამოგირჩია ღვთისმშობელმა თავის კალთიდან
და საქართველო ჩაგაბარა თვისი, ილია!

არ ესწავლება ქართველს ხმალი ფიცხელ ბრძოლაში,
სულიერ ომში ხან სიკეთეც გადათელილა...
ქრისტემ მოქსოვა მაგ ძლიერი სულის პერანგი –
ურჯულოთაგან სამშობლო რომ გადაგერჩინა!

აფხაზეთსა და შიდა ქართლში – ცეცხლის რკალის ქვეშ
ცრემლი აწვიმე დაჭრილ მიწას, გმირებს – მკვნესარეთ...
სამშობლო მკვდრეთით აღგვიდგინე ლიბომოშლილი
და ბერწ სულებში გაგვიხარე ვარდი, კესანე...

ეგ ღვთიური და მშვიდი სახე,ნათლით მოსილი,
ეგ ტკბილი სიტყვა სერაფიმთა გუნდში ხმიანებს...
მადლობა უფალს, ქვეყნად თქვენი მოვლინებისთვის!
მადლობა, ტკბილო, ეს ღამე რომ გაგვიმზიანე!

ᲚᲘᲐ ᲩᲘᲚᲚᲐᲫᲔ

თვალთა სხივთა დიადემა...

ᲣᲬᲛᲘᲜᲓᲔᲡᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲜᲔᲢᲐᲠᲔᲡᲡ ᲘᲚᲘᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲡ

ილია ჭავჭავაძის ილია მართლად შერაცხვისას
ცაზე ცისარტყელა გადმოეშვა!

ᲘᲚᲘᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ

საქართველოს პატრიარქი,
ჩვენი ქვეყნის განთიადი,
უღმერთობის წიაღშიც კი
შუქთა მფენი, ხმადიადი!

ერის წყლულის თვისად მჩენი,
ჭავჭავაძის ხელდამსხმელი
და ანაზდად ცის ტატნობზე
სასწაულის თვითმხილველი!

წმინდა მართლად რა შერაცხა
აჩრდილივით მთაზე მდგომმა,
გადმოეშვა ცისარტყელა
ტკბილ იმედის მახარობლად.

და ამ ხილვით უწმინდესის
თვალთა სხივთა დიადემა
მეტყველებდა ილიასთან
მსგავსებას და ზიარებას!

თავადაც ხომ ილიასებრ
შეჰღაღადა წმინდა ზეცას:
დღემდე არსად არ მინახავს
მე ასეთი ცისარტყელა!

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲒᲝᲓᲔᲠᲫᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲔᲜᲐᲗᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ-ᲝᲜᲝᲛᲐᲡᲢᲘᲙᲝᲡᲘ

თქვენი ლოცვის მადლით გამთლიანდება საქართველო...

ᲐᲥᲢᲘᲣᲠ პენსიონერთა საერთაშორისო ალიანსი „არიერგარდი“ და მისი თითოეული წევრი, თავს ბედნიერად მიიჩნევს ერთსულოვნად მოგილოცოთ თქვენო უწმინდესობავ დაბადების 90 და აღსაყდრების 45 წლის მადლმოსილი თარიღები.

ჩვენმა ხალხმა კარგად იცის და ღვთის მადლით ჯეროვნად აფასებს იმ ღვაწლს, რაც თქვენ მიგიძღვით ქართველ ერში ეკლესიური ცხოვრების ყველა მიმართულებით აღორძინება-გაძლიერება-განმტკიცებასა და სრულიად მართმადიდებლურ სამყაროში საქართველოს როლისა და ადგილის ღირსეულად დამრუნების საქმეში.

ღრმად გვწამს, რომ უფლისადმი ჩვენი საყოველთაო ვედრებით და თქვენი ლოცვის მადლით გამთლიანდება საქართველო ტერიტორიულად და კვლავაც დაგვიბრუნდება ერთიან საქართველოში ტრადიციებისადმი ერთგულებით და ურთიერთსიყვარულით თანაცხოვრების ჭეშმარიტად ღვთაებრივი ბედნიერება.

ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ, ᲣᲬᲛᲘᲓᲔᲡᲝ!

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲡᲐᲚᲐᲠᲐᲫᲔ,
ᲐᲥᲢᲘᲣᲠ �პᲔᲜᲡᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘ „ᲐᲠᲘᲔᲠᲒᲐᲠᲓᲘᲡ“ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ, ᲕᲐᲙᲘᲡ ᲛᲐᲪᲮᲝᲕᲠᲘᲡ ᲤᲔᲠᲘᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲡᲢᲘᲥᲐᲠᲝᲡᲐᲜᲘ.

ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲘ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს!

ᲗᲥᲕᲔᲜᲝ ᲣᲬᲛᲘᲜᲓᲔᲡᲝᲑᲐᲕ, საოცრად რთულ, დაძაბულ და ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს პერიოდში მოგიწიათ ყოფილიყავით სრულიად საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საჭეთმპყრობელი და ქართველი ერის უპირველესი სულიერი მოძღვარი. თქვენი აღსაყდრებიდან გავიდა 45 წელი, რომელიც აღსავსე იყო ურთულესი გამოწვევებით, იობის მოთმინებით გაუძელით 70 წლიან კომუნისტურ რეჟიმს, ქვეყანაში შექმნილ არაორდინალურ ვითარებას, შიდა და გარე ობსტრუქციული ძალების შემოტევას, რომლებსაც სურდათ და დღესაც სურთ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დაშლა-გახლეჩა და მთლიანად საპატრიარქოს ხელში ჩაგდება. თქვენი შორსმჭვრეტელობით, წინდახედულობით წმინდად ატარეთ პირველი იერარქის მძიმე ჯვარი, თქვენი 90 წლიანი ცხოვრების მანძილზე უზარმაზარი ინტელექტუალური და სულიერი ენერგია მოახმარეთ ქართველი ერის, საზოგადოების, ახალგაზრდობის შემობრუნებას დედა ეკლესიისკენ.

თქვენ ყოველთვის ხართ იქ, სადაც ხალხს, ქვეყანას უჭირს. ამის თვალსაჩინო მაგალითია თქვენი უაღრესად დროული და ერისთვის სასარგებლო ინიციატივა, იყოთ ყოველი მესამე და შემდგომი ახალდაბადებული ბავშვის ნათლია. ამ კეთილშობილი ნაბიჯით ასობით გოგო- ბიჭი შეემატა ერის გენოფონდს.

დაუვიწყარია თქვენი თავგანწირული მოქმედება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ხუთდღიან ომში ცხინვალში დაღუპული ქართველი ვაჟკაცების გადმოსვენების საქმეში.

თქვენი ბრძნული რჩევებით, ქადაგებებით და ეპისტოლეებით ერს აძლევთ ბრძნულ სამოქმედო პროგრამას, თუმცა თქვენი რჩევა-დარიგებები ბევრჯერ ვერ შევისმინეთ და საკადრისადაც მოგვეზღო. თქვენ არაერთი ავტორიტეტული ორგანიზაციების კვლევების საფუძველზე რჩებით, ქართველთათვის სათაყვანებელ ერის მამად და უპირველეს პიროვნებად.

თქვენო უწმინდესობავ, მაშინ როცა ყველაზე ძალიან გაუჭირდა ქართველ ერს და მისი გენოფონდის გამრავლების საკითხი საეჭვო გახდა, განაცხადეთ, - დღეს როგორც არასდროს საქართველოს გადარჩენასა და განვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქართული გვარების ერთსულოვნებასა და სამშობლოს საკეთილდღეო საქმიანობას.

თქვენი ეს ბრძნული შეგონება საქართველოს თითოეულმა გულმხურვალე პატრიოტმა გულის ფიცარზე უნდა დავიწეროთ და როგორც ჯვარი საფიცარი, ისე უნდა ვზიდოთ, როგორც მაცხოვარმა ზიდა გოლგოთამდე.

საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამეობის თითოეულმა წევრმა - მიზნად დაისახა თქვენი ეს საყოველთაოდ შესასრულებელი საშვილიშვილო დარიგება პირნათლად განახორციელოს. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ თითოეულმა ჭეშმარიტმა ქართველმა საგულდაგულოდ შეისწავლოს საკუთარი გვარის ისტორია, გვარების გაძლიერება-გამთლიანების გზით შთამომავლობას გადავცემთ წინაპართა განვლილი გმირული ისტორია.

თითოეულმა ჩვენთაგანმა მთელი არსებით უნდა გავაცნობიეროთ, ვინ ვართ, საიდან მოვდივართ და რა მიზანს ემსახურება ჩვენი ამქვეყნად არსებობა თუ არა გვარიშვილობის, სახლიშვილობის და მამულიშვილობის ნიშნით ჩვენი სამშობლოს, მთლიანი და განუყოფელი საქართველოს სიყვარულით გაერთიანება და ზრუნვა მისი ხვალინდელი უკეთესი მომავლისთვის.

თქვენი ლოცვა კურთხევითაა შექმნილი სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზი, რომლის მიზანმიმართული და ნაყოფიერი საქმიანობა ქართული გვარების შემდგომ განვითარებას უწყობს ხელს, საერთო ჯამში კი გვარის ერთიანობა - ქვეყნის ძლიერების და წინსვლის სამსახურშია.

სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზი უდიდესი სიყვარულით და პატივისცემით გილოცავთ აღსაყდრების 45 და დაბადების 90 წლისთავს. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. თქვენი ლოცვა კურთხევა არ მოკლებოდეს ქართველ ერს.

მრავალჟამიერ თქვენს სიცოცხლეს!

დღეგრძელი იყოს პატრიარქი საქართველოსი!

ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲕᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲝᲚᲗᲐ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ

გვარის სიამაყეს მისი თავკაცი განსაზღვრავს

საქართველოში დღემდე მოღწეული ყველა ქართული გვარი პატივსაცემი და დასაფასებელია. მნიშვნელობა არა აქვს მრავალრიცხოვანია თუ მცირერიცხოვანი. ერის გამთლიანება-გაერთიანების საქმეში გვარების ერთსულოვნებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, ამიტომაც იყო, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ჩვენმა სულიერმა მოძღვარმა ილია მეორემ ამ რამდენიმე წლის წინათ ხაზგასმით განაცხადა, **– „დღეს, როგორც არასდროს, საქართველოს გადარჩენასა და განვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქართული გვარების ერთსულოვნებას და სამშობლოს საკეთილდღეო საქმიანობას“.**

ეს ფუნდამენტური მოთხოვნა მკაფიოდ აქვს **გათავისებული ონოფრიშვილების** არცთუ მრავალრიცხოვან გვარს, რომელთა ისტორია შუასაუკუნეებიდან იწყება.

გვარის ფუძე – „ონოფრე“ – ეგვიპტური სახელია და ქართულად „წმინდა ხარს“ ნიშნავს, ხოლო გვარის წარმოშობა გადმოცემით უკავშირდება „ონოფრე“ მღვდელს, რომელიც XVI საუკუნეში სამცხე–ჯავახეთიდან გადმოსახლებულა და დასახლებულა დღევანდელ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევში.

მარცხნიდან მეორე – თენგიზ ონოფრიშვილი, ცენტრში – ილია II, – თსუ-ს რექტორი დავით ჩხიკვიშვილი, ათონის მთის გუბერნატორი დიმიტრიოს ცამისი და ცნობილი რეჟისორი გურამ პატარაია

სტატისტიკური მონაცემებით ონოფრიშვილები ძირითადად განსახლებულები არიან კავთისხევში – 21, თბილისში – 86, ყვარელში – 28, ველისციხეში – 8, ახალსოფელში – 7, ტყიბულში – 7, ქუთაისში – 6, რუსთავში – 4, ბორჯომში – 3, და ა.შ.

სულ გვარის რაოდენობა 170 სულს შეადგენს.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ მოხსენიებულია ონაფრის ძე, ონოფრის ძე.

სოფელ კავთისხევში შემორჩენილია „კავთის წმინდა გიორგის“ სახელობის ეკლესია, რომელსაც მოსახლეობა „ონოფრიანთ ეკლესიას“ უწოდებს. მოსახლეობაში გავრცელებული გადმოცემის თანახმად XVI–XVII საუკუნეებში, ლეკიანობის შიშით, თავკვათაში მოსახლეობა სალოცავად თავისუფლად ვეღარ ადიოდა, ამიტომ თავკვათას ეკლესიის ნაცვლად მისი მონაცვლე ეკლესია კავთისხევში აუშენებიათ (სერგი მაკალათია, „კავთურას ხეობა“ 1960 წელი გვ. 15).

XVIII საუკუნეში სოფელ კავთისხევში ონოფრიშვილების ერთი შტო დეკანოზები ყოფილან, რომელთა ბოლო წარმომადგენელი მღვდელი იოანე ონოფრიშვილი 1924 წელს ბოლშევიკებმა დახვრიტეს. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (ოკუპაციის მუზეუმში) იოანე ონოფრიშვილი რეპრესირებულ მამულიშვილთა სიაშია შეყვანილი.

ივანე ონოფრიშვილი მიხეილის ძე – დაიბადა 1866 წელს. (სხვა ვერსიით 1871 წელს). სწავლობდა ქვათახევის მედავითნეთა სკოლაში. 28.10.1892-10.05.1893 წწ. საგურამოს ეკლესიაში, კავთისხევის სამრევლოს მეფსალმუნე 1893 წლის 10 მაისიდან 1905 წლის 17 მარტამდე, ახალქალაქის სამრევლოს მეფსალმუნე 1905 წლის 17 მარტიდან. 1916 წლის 16 თებერვლამდე იყო ვალეს სამრევლოს მღვდელი, 1916 წლის 16 თებერვლიდან სოფელ მუსხის (დღევანდელი ახალციხის მუნიციპალიტეტი) მღვდელი. 1918 წლიდან იყო კავთისხევის წმინდა გიორგის ეკლესიის მღვდელი. დახვრიტეს 1924 წლის სექტემბერში. მღვდლის შვილიშვილი და მეფსალმუნეს შვილი.

ივანეს მამა – მიხეილ იოანეს ძე ონოფრიშვილი, დეკანოზი – სოფ. კავთისხევში.

ივანეს პაპა – იოანე მიხეილს ძე ონოფრიშვილი, დეკანოზი – სოფ. კავთისხევში.

გვარის დღევანდელი წინამძღოლი დავით თენგიზის ძე ონოფრიშვილი მისი შვილთაშვილი გახლავთ. აღსანიშნავია ისიც, რომ იოანე ონოფრიშვილის შვილიშვილი თენგიზ დავითის ძე ონოფრიშვილი 1976-1979 წლებში გახლდათ საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიის საქმეთა რწმუნებული, რომელმაც მნიშვნელოვანი მხარდამჭერი როლი შეასრულა უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ინტრონიზაციის პერიოდში. (**ილია II, სრულიად საქართველოს პატრიარქი, ნაწილი I, წერილები, ჩანაწერები, ფოტოები, 1932-1985წ.**). თენგიზ ონოფრიშვილის ხელშეწყობითა და მხარდაჭერით გამოიცა საპატრიარქო ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, ყოველწლიური საეკლესიო კალენდრის (მაგიდის და კედლის) გამოცემა შესაძლებელი გახდა მრავალათასიანი ტირაჟით. საფუძველი ჩაეყარა და სისტემატური ხასიათი მიიღო უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის შეხვედრებმა ინტელიგენციასთან, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლებთან.



უწმინდესი ილია II, დავით ონოფრიშვილი და მისი დედა ლიანა თაბაგარი, 2019 წლის თებერვალი

ონოფრიშვილების გვარი ილია მეორემ დალოცა 2012 წლის 10 ივნისს სამების საკათედრო ტაძარში, სხვათა შორის, ეს დღე შემთხვევით დაემთხვა თავკვეთობის დღესასწაულს (კავთისხევში ეს დღესასწაული აღინიშნება აღდგომის მეშვიდე კვირას).

კარგადაა ცნობილი ონოფრიშვილების სოციალური სტატუსიც. ისტორიულად, გვარის ნაწილი სასულიერო პირები იყვნენ, ნაწილი საზატონე გლეხები.

დღეს ონოფრიშვილების მცირერიცხოვან გვარში მრავალი სახელოვანი პიროვნებაა. მათ შორის გამორჩეულია რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კინოოპერატორი ირაკლი ონოფრიშვილი, რომელსაც არაერთი სატელევიზიო და კინოშედევრი აქვს გადაღებული („თუში მეცხვარე“, „შორია გურჯისტანამდე“, „ლაზარე“, „კუჩხი ბედინერი“, „შვიდკაცა“ და სხვა;) საყოველთაოდ გაითქვა სახელი ცნობილმა სამთოელმა და მთამსვლელმა ჯიმი ონოფრიშვილმა.



მღვდელი ივანე ონოფრიშვილი, დახვრიტეს 1924 წ.

საგულდაგულოდ უნდა აღინიშნოს თვით გვარის წინამძღოლის ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ბატონ დავით ონოფრიშვილის წარმატებული ბიოგრაფიის შესახებ, რომელიც საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა საქართველოში. ორჯერ იყო არჩეული დეპუტატად საქართველოს პარლამენტში (1995-1998; 2012-2016წ.წ.). იგი 100-ზე მეტი კანონის ავტორი და თანაავტორია. 1998–2000 წლებში იყო საქართველოს ფინანსთა მინისტრი, 2004-2005 წლებში სათავეში ედგა „საქართველოს რკინიგზას“.

დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1984 წელს, ხოლო 1994 წელს დაამთავრა ნიუ-იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტი, წლების მანძილზე ლექციებს კითხულობდა აშშ-ში, ვანდერბილთის უნივერსიტეტში. საქართველოს VIII მოწვევის პარლამენტში იყო საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე, ამჟამად ბატონი დავითი საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსია.

სულ ახლახან ბატონი დავითი სრულიად საქართველოს ქართული გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამგეობის წევრად აირჩიეს, გვწამს, მისი ცხოვრებისეული გამოცდილება ნაყოფიერ გავლენას მოახდენს საგვარეულო დარბაზის მუშაობაზე.

საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა, გვარისადმი სიამაყის გრძნობა კიდევ უფრო გაათკეცდება, როცა ხედავ შენს გარშემო მრავალ სახელოვან, კეთილსინდისიერ, ღვაწლმოსილ და დაფასებულ სახლიკაცებს, ონოფრიშვილების საგვარეულოს სწორედაც ასეთი აღიარებული პიროვნება ყავთ არჩეული გვარის მეთაურად, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალში მათ გვარში არაერთი სასიკეთო და საამაყო ღონისძიება გაიმართება გვარისა და გვარიშვილის საკეთილდღეოდ.

ონოფრიშვილების გვარის დალოცვა – 10.06.2012

ვალერიან ლომიძე,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი,
სრულიად საქართველოს გვარების
წინამძღოლთა დარბაზის გამგეობის წევრი.



გარეკანზე, მსხვილი შრიფტით, გაყოფილად აწერია: „სა-მადლოგელი.“

თანამდევ სულთა შორის

„გახსნად საბელთა ხამლთა მისთასა“...

მიხვედრა, ალბათ, არავის გაუჭირდება:

„მადლობელი“ ერთ-ერთი ხალხური სიმღერის სახელწოდებაა. ეს წიგნი კი სიმღერების კრებულიც არის და ჭეშმარიტი მამულიშვილის მიმართ გამოხატული სამადლობელიც. აქ ანზორ ერქომაიშვილის უდიდეს ღვაწლზე საუბრობენ კოლეგები, მეგობრები, მოწაფეები, თაყვანისმცემლები...

აქ არიან ქართული კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები - ჯანსუღ კახიძე, რევაზ გაბრიაძე, გია ყანჩელი, ელდარ შენგელაია, რობერტ სტურუა, რევაზ ტაკიძე, მანანა ახმეტელი, მაკა ჯოხაძე...

ყველას როგორ ჩამოთვლი?!

* * *

„სა-მადლოგელი“ – ეს საზედაო სათაურია.

აქ მეორე სათაურიცაა:

„ანზორ ერქომაიშვილი და გურული პოლიფონია.“

ეს მიგვანიშნებს წიგნის მთავარ სიმდიდრეზე, მის „უგეებში“ რომ იმალება: თავსა და ბოლოში ორიგინალურადაა ჩასმული ორ-ორი დისკი, რომლებზეც ოთხმოცი სიმღერაა ჩაწერილი.

ეს ის სიმღერებია, ანზორ ერქომაიშვილმა რომ მოიძია, დაამუშავა, თავის კოლეგებსა და მოწაფეებს ასწავლა და რომელთა ერთი ნაწილის შესრულებაშიც თავადაც მონაწილეობს.

ასეთი ძვირფასი, პოლიგრაფიული დონითაც გამორჩეული წიგნი გამოსცა ანსამბლმა „რუსთავმა“, მისი სამხატვრო ხელმძღვანელის გიორგი ნატროშვილის იდეითა და „თეგეტა ჰოლდინგის“ ფინანსური მხარდაჭერით.

* * *

ამ წიგნში ბევრი რამ არის ღრმად სიმბოლური.

მაგალითად, ეს ფოტო; ანზორ ერქომაიშვილი ბოქლომდადებულ კართან. მუხრან მაჭავარიანის ცნობილი ლექსი გაგახსენდება, ვინაიდან სწორედ ანზორ ერქომაიშვილი აღმოჩნდა ღირსი „გახსნად საბელთა ხამლთა მისთასა“.

სწორედ მის წინაშე გაიხსნენ ქართული ფონოჩანაწერებით სავსე უცხოურ არქივთა საბელნი.

* * *

წარდგინება ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის უნიკალურ დარბაზში გაიმართა.

და ვის უნდა წარედგინა ეს დიდებული გამოცემა, თუ არა თვითონ „რუსთავს“.

რით და როგორ უნდა წარედგინა?

ცოტა სიტყვითა და ბევრი სიმღერით.

და კიდევ: შიგადაშიგ, ეკრანის ჩართვითა და ფასდაუდებელი დოკუმენტური კადრების ჩვენებით, მათ შორის, სოსო ჩხაიძის „შვიდკაცადან“...

* * *

მართლაც დიდებული საღამო ვიხილეთ.

ძალიან საინტერესო „დრამატურგიით.“

ტაში, ოვაცია, „ბრავოს“ ძახილი თავისთავად მეტყველებდა საღამო-კონცერტის დიდ წარმატებაზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მაინც ის მაღალი შეფასებები იყო, პროფესიონალი მუსიკოსებისგან რომ მოვისმინე.

მათი საერთო აზრი შეიძლება, ერთი ფრაზით გამოიხატოს: „ეს ნამდვილი „რუსთავი“ იყო!“

* * *

„სამჯერ ვარ დაბადებული, მონათლულიც ვარ სამჯერა, ერთხელ სიკვდილი რას მიზამს, ერთხელ სიკვდილის არ მჯერა“ – ტიციან ტაბიძის ამ ლექსსაც მღეროდნენ „რუსთავის“ ბიჭები.

და მე მართლა აღარ მჯეროდა ანზორ ერქომაიშვილის სიკვდილი.

მჯერა, რომ იმ დარბაზში ეს არც არავის სჯეროდა.

ანზორ ერქომაიშვილიც ხომ სამჯერ იყო დაბადებული და მონათლული:

მეორედ – მაშინ, იუნესკომ, მისი დიდი ღვაწლის შედეგად, ქართული ხალხური სიმღერა მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის შედევრად რომ აღიარა.

მესამედ, მაშინ, როცა უკვდავების გზას დაადგა.

მის უსაყვარლეს უფროს მეგობარს რეზო თაბუკაშვილს რომ დავესესხოთ, ანზორ ერქომაიშვილის გარდაცვალებას ნამდვილად ვერ დავარქმევთ სიკვდილს.

შემთხვევით არა აქვს მაკა ჯოხაძის ესსეს, ამ წიგნს რომ ამშვენებს, ასეთი სათაური: „მარადიული ცხოვრების დასაწყისი“...

* * *



აღმერთებდა ილია ჭავჭავაძეს.

ზეპირად იცოდა ბევრი მისი ლექსი.

განსაკუთრებით ეს სტრიქონები უყვარდა:

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში, რასაც ვმსახურებთ, მას ერთგულად კვლავ ვემსახუროთ“...

ემსახურა კიდეც, სწორედ ილიასეული ერთგულებით.

რაღაც ემართებოდა, როცა მოღვაწეს უწოდებდნენ.

უხერხულიაო, ილია ჭავჭავაძე ხომ არ ვარ, ანდა ექვთიმე თაყაიშვილიო.

მოღვაწეები ისინი იყვნენო.

არადა, სიცოცხლეშივე უწოდეს „ქართული მუსიკის ექვთიმე თაყაიშვილი“...

ექვთიმე თაყაიშვილმა საქართველოდან ბოლშევიკებს გარიდებულ ქართულ განძს თავგანწირვით უპატრონა და სამშობლოს ხელუხლებლად დაუბრუნა.

ანზორ ერქომაიშვილმა იქ გაფანტული ხალხური მუსიკალური მარგალიტები მოიძია, შეკრიბა, აღადგინა, გააცოცხლა და „მთელი საქართველო აამღერა“(ნანი ბრეგვაძე).

პირველს „წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი“ უწოდეს.

ნეტავ რა სახელდებას შეურჩევენ მეორეს, როცა ამის დრო დადგება?

აუცილებლად დადგება.

* * *

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა, მე ვარო შენი თანამდევი უკვდავი სული“...

ილიას ამ ღვთაებრივ სიტყვებს ანზორ ერქომაიშვილი ფიქრადაც არ გაივლებდა.

მისი განსაცვიფრებელი თავმდაბლობა ამას სრულიად გამორიცხავდა.

სწორედ ამიტომაც დარჩა სამშობლოს თანამდევ სულად.

ილიას სულის ნატეხი, ექვთიმეს გზით მავალი.

ეს უძვირფასესი წიგნიც ამას ადასტურებს.

იოსებ ჭუმგურიძე

◎ „სად წაიყვან სადაურსა“...

სიკეთე არ იკარგება!..

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში, ყოფილი ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის უძველეს სასაფლაოზე, ერთი განსხვავებული განსასვენებელი იქცევს გამვლელთა ყურადღებას. გრანიტის ქვაზე ფერადკანიანი ახალგაზრდა ქალის ფოტო, სახელი, გვარი, დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებია ამოკვეთილი. რაშელი ტევა ტოლნო სოლონომ მხოლოდ 24 წელი იცოცხლა, შორეულ გვინეაში დაბადებული წლინახევრის წინ საქართველოს ერთ-ერთ კლინიკაში კოვიდ პანდემიას ემსხვერპლა.

მეტად სევდიანია რაშელის ისტორია. ჩვენს ქვეყანაში შემთხვევით მოხვდა, ყალთაბანდმა თანამემამულემ შვედეთის ყალბ ვიზაში ფეხმძიმე ქალბატონს საკმაო რაოდენობის დოლარები გამოსძალა. აფრიკიდან თურქეთისა და საქართველოს გავლით საფრანგეთში მოხვედრის მსურველი თბილისის საერთაშორისო აეროპორტში თვითმფრინავიდან ჩახსნეს. სახელმწიფო საზღვრის დამრღვევის საქმე სასამართლოს გადაეცა.

სხდომის დანიშვნამდე მოტყუებული ავიამგზავრი ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთ კერძო სასტუმროში დააბინავეს. მოკლე ხანში იმშობიარა. მეუღლემ – ჟანი სოლონომ ვერ მოახერხა გზაბნეულ ცოლამდე და უნახავ ქალიშვილამდე ჩამოსვლა, ქალაქ კონაკრიდან მობილურით ესაუბრებოდა და სახარჯო თანხას უგზავნიდა მხოლოდ.

უდანაშაულო,,დამნაშავეს“ დამცველად სახაზინო ავდოკატი დაუნიშნეს. სასამართლოში თარჯიმნობა თხოვეს ფრანგული ენის სპეციალისტს, პარიზის ლიტერატურული უნივერსიტეტის

კურსდამთავრებულს, ტურისტული სააგენტოს გიდს, მაღლაკის მკვიდრს ანა კანკაძეს.

მოვუსმინოთ ანას: რაშელს სასამართლო დარბაზში შევხვდი. ერთობ დაბნეული მეჩვენა. ხათაბალაში გახვეულს სასტუმროს მისამართიც არ ახსოვდა. დღე-ღამეში 200 დოლარს მახდევინებენ, ორი თვეა, გარეთ არ გამოვსულვარო, შემომჩივლა. ძალიან შემეცოდა და შევთავაზე, თუ გსურს, დროებით ჩემთან იცხოვრე, მართალია, პატარა ბინა მაქვს, მაგრამ ყველა დავეტევით-მეთქი.

გაუხარდა, მცირე ბარგითა და ახალშობილით იმ დღესვე გამომყვა. სანამ სასამართლოს სხდომა ჩაინიშნებოდა, მაღლაკშიც დავიმგზავრე. ჩემმა მშობლებმა შვლივით მიიღეს, პატარა ჟოზეფინას მოვლაშიც ეხმარებოდნენ.

საქმის განხილვა ჭიანურდე-

„მე ვარ ჩემი არჩევანი“

რუსუდან ლორთქიფანიძე - 70

არასდროს უშრომია სახელ-დიდებისთვის, მაგრამ ჟურნალისტ რუსუდან ლორთქიფანიძის ღვაწლი თავისი ქვეყნის წინაშე შეუმჩნეველი არავისთვის დარჩენილა.

ჟურნალისტის პროფესია მისი არჩევანი, სულის ნაწილი, მისი მოწოდებაა. ამიტომაც ხშირად ამბობს: — **„მე ვარ ჩემი არჩევანი!“**

ურთულეს პოლიტიკურ და სოციალურ გარემოში ცხოვრებამ, სხვებივით, ისიც არაერთხელ დააყენა განსაცდელების წინაშე, საცთურიც ბევრი ყოფილა, ცხოვრების გზაზე ბევრი კარგი და ცუდიც უგემია, მაგრამ არ გაბზარულა, თავისი სულიერი კრედოსთვის არასდროს უღალატია, კრედოსთვის, რომლის მთავარი მიზანი იყო დაენახა ადამიანურობა ადამიანში, არასდროს გაეცვალა მთავარი ღირებულებები მეორეხარისხოვანზე და ამასთანავე, შეენარჩუნებინა ღირსება და შინაგანი მთლიანობა!

მას თამამად შეუძლია თქვას, რომ იცხოვრა ღირსეულად, იშრომა დაუღალავად და დღემდე იღვწის თავისი სამშობლოს მომავლისთვის, იღვწის, აღზარდოს წიგნიერი და განათლებული თაობები, ახალბედა ჟურნალისტებს კი გადასცეს თავისი გამოცდილება და ცოდნა.

მისი 35-წლიანი ჟურნალისტური და 30-წლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა იოლი არ ყოფილა. საოცარია, საიდან აქვს ეს დაუშრეტელი ენერგია, შინაგანი ძალა, რომ ერთგულად, სიყვარულით ემსახუროს საყვარელ ოჯახს და, ამავდროულად, წარმატებული იყოს სამსახურშიც, რომ შეეჭიდოს ცხოვრების ისეთ სირთულეებს, რომელთა დაძლევა ვაჟკაცსაც გაუჭირდება... მაგრამ ეს გასაკვირი სულაც არ არის, რადგან ამის მაგალითად გამოდგება, თუნდაც, ჯერ კიდევ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ მუშაობის დროს მის მიერ ამოთქმული და გამოქვეყნებული ლოცვა — „ვედრება“, სადაც ნათლად წარმოჩინდა თავისი თავმდაბლური, მადლიერი დამოკიდებულება სამყაროსა და მისი შემოქმედის მიმართ... ეს ლოცვა მისი აღსარებაა, მისი სიკეთით სავსე გულია, რომლის სითბოსაც დღემდე უშურველად ურიგებს ახლობლებს, მეგობრებს... და რაღა გასაკვირია ის, რომ გაცემულ სიკეთეს ერთიასად უბრუნებს ხოლმე განგება ადამიანს...

რუსუდან ლორთქიფანიძის კალამი ყოველთვის უკომპრომისოა სიყალბის, სიცრუის მიმართ. იგივე კალამს არასდროს უშრება მელანი, დაუსრულებლად წეროს სიკეთეზე, ერთგულებაზე, სიყვარულზე, ადამიანთა ადამიანურობაზე, რაც ესოდენ საძებარი გახდა დღევანდელ რეალობაში.

ახლა უკვე შემოდგომა უდგას რუსუდან ლორთქიფანიძეს — მის სახელზეა ათასობით საგაზეთო პუბლიკაცია, მის მიერ აღზრდილ-დაოსტატებული ჟურნალისტების უანგარო სიყვარული და პატივისცემა. მრავალი ადამიანის მადლიერება გაწეული სიკეთისა და თანადგომის გამო... და ეს მართლაც სიამაყით სათქმელია ზნეობრივი, ფხიზელი, სიკეთის მთესველი ქართველი ქალისათვის...

პირველ იანვარს 70 წელი შეუსრულდა რუსუდან ლორთქიფანიძეს — საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, ჟურნალისტიკის დოქტორს, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს, ღირსების ორდენოსანს, მრავალი სიგელითა და პრემიით დაჯილდოებულ კალმოსანს!

ვიტოვებ უფლებას და ჩემი კოლეგების სახელით გულითადად ვულოცავ მას ამ ღირსშესანიშნავ იუბილეს და ახალ წელს!

უდავოდ, „ რა დიდებულია ადამიანი, თუ ის მართლა ადამიანია!“

მრავალჟამიერ, რუსუდან!

ლია ჭილლაძე



ბრაიან მეი დიდი ბრიტანეთის რაინდია...

ჯგუფ Queen-ის გიტარისტს და ერთ-ერთ დამფუძნებელს ბრაიან მეის დიდი ბრიტანეთის რაინდი ბაკალავრის წოდება მიენიჭა.

დოკუმენტში ჩამოთვლილია მეის დამსახურება, რომელთა შორის არის მიღწევები მუსიკის სფეროში, ასევე მუშაობა ასტროფიზიკოსად და საქმიანობა ველური ცხოველების დაცვის მიმართულებით.

„2008 წელს მან ლონდონის სტერეოსკოპული კომპანია აღადგინა, 2009 წელს დააფუძნა ფონდი Save-Me Trust, 2015 წელს კი ასტეროიდის დღის თანადამფუძნებელი გახდა“, — აღნიშნულია დოკუმენტში.

თინეიჯერი დედებისთვის

ტეხასის შტატში, ლინკოლნ პარკის სკოლაში მხოლოდ თინეიჯერი დედები სწავლობენ.

გარედან ლინკოლნ პარკი ამერიკის ნებისმიერ ჩვეულებრივ სკოლას ჰგავს. აგურით ნაშენები, შესასვლელის წინ ამერიკის დროშით, მაგრამ შიგნით თინეიჯერების კლასიდან კლასში სიარულთან ერთად ბავშვების ტირილი და ხმაური ისმის.

სკოლა ამერიკა-მექსიკის საზღვართან, ტეხასის შტატში, ბრონსვილში მდებარეობს და სპეციფიკური სასწავლო პროგრამა აქვს, რომელიც თინეიჯერი დედების განათლებაზეა მორგებული და ორსულობის სერვისებსა და მშობლებისთვის გაკვეთილებს მოიცავს.

სკოლის ცენტრალურ შენობასთან კი მოსწავლეების შვილებისთვის საბავშვო ბაღია. ამერიკაში არასრულწლოვნების ფეხმძიმობის ფაქტები ბოლო სამ ათწლეულში შემცირებულია, თუმცა ესპანური წარმოშობის ქალებში ეს შემთხვევები მეტად გავრცელებულია, ვიდრე სხვა პოპულაციისთვის.

ლათინური წარმოშობის ხალხში თინეიჯერების ფეხმძიმობა საკმაოდ მაღალია და 2022 წელს აბორტის აკრძალვაზე სასამართლო დადგენილების მიღების გამო ეს რიცხვი კიდევ მატულობს.

ლინკოლნ პარკი ახალგაზრდა დედებს 2005 წლიდან ემსახურება და მათი მოსწავლეების თითქმის უმრავლესობა 14-19 წლის ასაკისა და ლათინური წარმოშობისაა.

<u>საქსტატი:</u> დეკემბერში ბოსტნეული და ბაღჩეული - 27.4 პროცენტით, პური და პურპროდუქტები კი 22.1 პროცენტით გაძვირდა

საქსტატის მიერ დღეს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, დეკემბერში წლიურმა ინფლაციამ 9.8 პროცენტი შეადგინა. როგორც სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ანგარიშიდან ირკვევა, წლიურ ჭრილში ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფზე. ჯგუფში ფასები გაიზარდა 16.3 პროცენტით, რაც, საქსტატის ცნობით, წლიურ ინფლაციაზე 5.41 პროცენტული პუნქტით აისახა.

ყველაზე მეტად, 27.4 პროცენტით ბოსტნეული და ბაღჩეული გაძვირდა. 22.1 პროცენტით მოიმატა ფასებმა პურსა და პურპროდუქტებზე. ფასებმა 21.4 პროცენტით მოიმატა მინერალური და წყაროს წყლის, ასევე უალკოჰოლო სასმელებისა და ნატურალური წვენების კატეგორიაში. ყავა, ჩაი და კაკაო 18.4 პროცენტით გაძვირდა; რძე, ყველი და კვერცხი 17.5 — პროცენტით; შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული — 14.1 პროცენტით; თევზეულზე ფასებმა 13.4 პროცენტით მოიმატა; ხორცი და ხორცის პროდუქტები 9.7 პროცენტით გაძვირდა, ხოლო ზეთი და ცხიმი — 6.8 პროცენტით.

„საცხოვრებელი, წყალი, ელექტროენერგია, აირი: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 15.8-პროცენტიანი მატება, რაც 1.58 პროცენტული პუნქტით აისახა წლიურ ინფლაციაზე. ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: ფაქტობრივი გადასახადი საცხოვრებელზე (37.4 პროცენტი), საცხოვრებლის მიმდინარე მოვლა და შეკეთება (10.9 პროცენტი), ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები (5.1 პროცენტი); ტრანსპორტის ჯგუფში ფასები გაიზარდა 5.5 პროცენტით, რაც 0.64 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაზე. ფასები მომატებულია სატრანსპორტო მომსახურებასა (11.6 პროცენტი) და პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (5.2 პროცენტი); ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 9.3-პროცენტიანი მატება, რაც 0.62 პროცენტული პუნქტით აისახა წლიურ ინფლაციაზე. ფასები მომატებულია როგორც ალკოჰოლური სასმელების (10.8 პროცენტი), ისე თამბაქოს ნაწარმის (7.6 პროცენტი) ქვეჯგუფებზე“, — აღნიშნულია საქსტატის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში.

ბოდა, თბილისიდან ხშირად გვიწევდა ჩემებთან ჩასვლა. რამდენჯერმე ჩვილი ავად გაუხდა, თბილისისა თუ ქუთაისის კლინიკებში ექიმებთან ვიზიტზე მამაჩემის მანქანით დავდიოდით. არც თვითონ იყო ჯანმრთელი, მოგვიანებით კოვიდი დაუდასტურდა. კოვიდცენტრში მკურნალობდნენ, მედიკოსებს ცდა არ დაუკლიათ, მაგრამ უშედეგოდ. ავადმყოფობა გაურთულდა. სამწუხაროდ, ვერ უშველეს. პატარას სოფელში დედაჩემი უვლიდა...

კანკაძეების ოჯახი საელჩოს მეშვეობით დაუკავშირდა რაშელის შინაურებს, მაგრამ მათ ვერ მოახერხეს გარდაცვლილის დატირება. უცხოტომელის ძვალთშესალაგი მაღლაკის მიწა გახდა. ცხედარი ქრისტიანული წესით უბნის სასაფლაოზე დაკრძალეს, შესანდობარი სუფრაც გაუკეთეს, საფლავი კეთილმოაწყვეს. მხოლოდ მოგვიანებით შეძლო რაშელის მულმა მარი ჟოზეფინ სოლანომ პარიზიდან ჩამოსვლა. ძმისშვილის მეურვედ დოკუმენტაციის გაფორმების პროცედურებმა რამდენიმე თვე წაიღო. სტუმარი თბილისში ანასთან ცხოვრობდა, მასთან ერთად მაღლაკშიც ჩავიდა, პატივი მიაგო მისი სისხლისა და ხორცის ნათელ ხსოვნას.

როგორც იქნა, ბიუროკრატიული ბარიერები დაძლეულ იქნა და დადგა გამომშვიდობების დრო, რომელსაც ცრემლების გარეშე არ ჩაუვლია... სამწლინახევრის ჟოზეფინა ელიზაბეტი დღეს საფრანგეთის დედაქალაქში მამიდასთან და ბებიასთან ცხოვრობს, მის თანატოლ მამიდაშვილთან ერთად საბავშვო ბაღში დადის, მალე მათ მამაც შეუერთდება. დედის სახება არ ახსოვს, მესენჯერით ხშირად ეტიტინება ქართველ კეთილისმყოფელებს ფრანგულად ყვება ლექსებს, შიგადაშიგ ქართული სიტყვებიც ახსოვს, პირდება, როცა გავიზრდები, აუცილებლად გესტუმრებითო...

უფალმა ბედნიერი ახალი წელი გაუთენოს სამშობლოსგან დაშორებულ ობოლს. გვჯერა, იგი ღირსეულად აღიზრდება და აუცილებლად ინახულებს დედის საფლავს, მასზე მზრუნველ ქართველ ბებია-ბაბუას, ანა დეიდას. მადლს ხომ საზღვარი არ აქვს, სიკეთე არ იკარგება!

მურთაზ კანკაძე,
გაზეთ „ახალი წყალტუბოს“ მთავარი რედაქტორი, წყალტუბოს საპატიო მოქალაქე, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

5 მლნ-მდე საერთაშორისო მოგზაურიდან მილებული 3 მლრდ დოლარზე მეტი

2022 წელს ტურიზმს საკმაოდ ბევრი გამოწვევა ჰქონდა. ტურისტული სექტორი, რომელიც კოვიდ პანდემიისგან აღდგენას ცდილობდა, თებერვალშივე ახალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. რუსეთი უკრაინის ტერიტორიაზე შეიჭრა და ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები დაიწყო, შედეგად დაიხურა უკრაინის საჰაერო სივრცე და საქართველომ ავიარეისების 15% და შესაბამისად სოლიდური ტურისტული ნაკადები დაკარგა.

ამავე პერიოდში, რუსეთის პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული სამხედრო მობილიზაციის გამო საქართველოს საზღვრებს რუსეთის მოქალაქეები მოაწყდნენ და ქვეყანაში შემოსვლა ოჯახებთან ერთად დაიწყეს. ნაწილი ქვეყანაში მოკლე ხნით შემოვიდა და საქართველო რამდენიმე კვირაში ან თვეში დატოვა, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც ქვეყანაში გრძელვადიანი პერიოდით შემოვიდნენ, ბინები იქირავეს ან იყიდეს. ამან კი ქვეყნის უძრავი ქონების ბაზარზე დიდი გავლენა მოახდინა, გაიზარდა გაყიდვები და გაიზარდა ქირა.

ტურიზმი ციფრებში

2022 წლის 11 თვეში საქართველოში 4,862,247 საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი შედგა, შესაბამისად, 2021 წლის იანვარი-ნოემბრის პერიოდთან შედარებით ზრდა +185.5%-ია. 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საერთაშორისო მოგზაურთა ვიზიტების აღდგენის მაჩვენებელი 55.9%-ს შეადგენს.

2022 წლის იანვარი-ნოემბრის პერიოდში 3,348,333 საერთაშორისო ტურისტული ვიზიტი შედგა, რაც +133.7%-ით მეტია გასული წლის 11 თვესთან შედარებით, ხოლო 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ტურისტული ვიზიტების 70.2 % აღდგენილია.

იმავდროულად, 2022 წლის იანვარ-ნოემბერში საერთაშორისო მოგზაურობიდან (ტურიზმიდან) საქართველომ 3.2 მილიარდი დოლარის შემოსავალი მიიღო.

2022 წლის იანვარი-ნოემბერში მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავალმა გადააჭარბა 2019 წლის მაჩვენებელს და რეკორდული მაჩვენებელი დადასტურდა – 3,159,558,975 აშშ. დოლარი, რაც 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებლის 103.5% აღდგენაა (ზრდა +108,134,426 აშშ დოლარი). 2021 წლის იანვარი-ნოემბრის თვესთან შედარებით მოგზაურობიდან შემოსავლები გაზრდილია +2,040,668,275 (+182.4%) აშშ დოლარით.

ტურისტული მოვლენები

2022 წელს ცნობილი გახდა, რომ საქართველო ITB Berlin 2023-ის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე მასპინძელი ქვეყნის სტატუსით წარდგება, რაც უდიდესი შესაძლებლობაა მთელ მსოფლიოში ქვეყნის ტურისტული მიმართულებების წარმოჩენისთვის.

მასპინძელი ქვეყნის სტატუსით საქართველოს საშუალება ეძლევა ტურისტული პროდუქტები გააცნოს გამოფენის 200 ათას ვიზიტორს, მათ შორის 100 ათას მიზნეს-ვიზიტორს და გამოფენის მრავალ მილიონიან სატელევიზიო მაყურებელს. კოვიდ პანდემიამდე ყოველწლიურად გამოფენაზე 181 ქვეყნის 10 ათასზე მეტი კომპანია იყო წარმოდგენილი. საერთაშორისო ტურისტულ გამოფენას 160 ათასზე მეტი ვიზიტორი, მათ შორის 113,500 მიზნეს ვიზიტორი სტუმრობდა.

მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში არის ომი და ტურიზმის წინაშე არაერთი გამოწვევა დგას, ამას ხელი არ შეუშლია იმისათვის, რომ საქართველოს, კონკრეტულად კი ბათუმს, ევროპის შემდეგ მსოფლიოს ტურისტული ოსკარი და მორიგი აღიარება მიეღო.

ოქტომმბერში კუნძულ მალიორკაზე World Travel Awards-ის დაჯილდოებაზე ბათუმი ევროპის სწრაფად მზარდ ტურისტულ მიმართულებად კიდევ ერთხელ აღიარეს. ბათუმი ასევე ოფიციალურად დასახელდა, როგორც 2023 წლის „World Travel Awards"-ის დაჯილდოების ღონისძიების მასპინძელი ქალაქი. აღსანიშნავია, რომ ბათუმმა ევროპული ე.წ. „ტურიზმის ოსკარი" პირველად 2019 წელს მოიპოვა და World Travel Awards-ის გამარჯვებული გახდა. ბათუმი ტურიზმის „ოსკარი"-ს მსოფლიოს ნომინაციებში პირველად იყო წარმოდგენილი და ამ ნომინაციაში ისეთი ქვეყნების ტურისტულ ქალაქებთან შევიდა კონკურენციაში, როგორებიცაა საფრანგეთი, იაპონია, კოლუმბია, მექსიკა, ლაოსი, ურუგვაი, ბულგარეთი და ჩრდილოეთ ირლანდია.

წელსვე მსოფლიო აღიარება მოიპოვა მესტიამაც. გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის პროექტის „Best Tourism Villages by UNWTO -ის ერთ-ერთი გამარჯვებული მესტიაა. აღსანიშნავია, რომ მესტია შერჩეულ იქნა გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის წევრი 57 ქვეყნის 130-ზე მეტი დანიშნულების ადგილის აპლიკაციას შორის, რაც უდიდეს მიღწევას წარმოადგენს.

წელსვე საქართველომ უმასპინძლა უპრეცედენტო პროექტს: GET LOST WIZZAIR. აგვისტოში ქუთაისი არაბეთის გაერთიანებული საამიროდან ჩამოსულ 100 საერთაშორისო მედიაწარმომადგენელს, ბლოგერსა და ინფლუენსერს (მეწყვილეებთან ერთად) მასპინძლობდა.

„GET LOST WIZZAIR" – „დაიკარგე Wizz airh-თან ერთად" ავიაკომპანიის უკვე აპრობირებული პროექტი ითვალისწინებს ინფო-ტურს, რომლის მონაწილეები გამომგზავრების დასაწყისში არ ფლობენ ინფორმაციას მათი მოგზაურობის დანიშნულების ადგილის შესახებ და პროექტის გამარჯვებულ ქალაქში (ქვეყანაში) მათი ჩასვლა არის სიურპრიზი.

როგორ აფასებენ პირველი პირები ტურიზმის სექტორს

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე მარიამ ქვრივიშვილი „კომერსანტთან" აცხადებს, რომ ტურიზმის აღდგენის დინამიკამ მოლოდინს გადააჭარბა.

„2022 წელი საკმაოდ წარმატებული და გამოწვევებით სავსე გვქონდა. ტურიზმის სექტორში აღდგენის დინამიკამ მოლოდინებს გადააჭარბა. შემოსავლებს რაც შეეხება, ჩვენმა ქვეყანამ 11 თვის მონაცემებით უკვე მიიღო 3 მლრდ დოლარზე მეტი შემოსავალი, რაც 100%-იანი აღდგენაა 2019 წელთან შედარებით. მოლოდინი გვაქვს, რომ წლის მოლომდე 2019 წლის შემოსავლებს გადავაჭარბებთ. საერთო სურათში გაზრდილია მხარჯველუნარიანი ტურისტების წილი. მნიშვნელოვანია, რის საფუძველზეა გაზრდილი მხარჯველუნარიანობა. ერთია, რომ საჰაერო გზით შემოსული ტურისტების წილი გაიზარდა, მეორე გაზრდილია ასევე ქვეყანაში დარჩენის ხანგრძლივობა. მესამეა, რომელმა ქვეყნებმა შეიტანეს დიდი წვლილი დანახარჯებში: ეს არის სპარსეთის ყურის ქვეყნები. განსაკუთრებით გამოვყოფდი საუდის არაბეთს, გაერთიანებულ საამიროებს და ასე შემდეგ, რომლებიც გამოირჩევიან, როგორც მაღალმხარჯველუნარანობით, ასევე სწრაფი ზრდის დინამიკით. ეს ბაზარი თავის წინა წლის შედეგებს ყოველთვის აუმჯობესებს", – აცხადებს მარიამ ქვრივიშვილი.

მინისტრის მოადგილის თქმით, მეორეს მხრივ მნიშვნელოვანი ბაზარია ისრაელი, პოლონეთი და ევროპის ისეთი მიმართულება, როგორიცაა გერმანია.

„ჩვენი მარკეტინგული კამპანია და დანახარჯები პირდაპირ ისახება ტურისტული ვიზიტორების ზრდაზე და შესაბამისად შემოსავლებზე. ამიტომ ეს დივერსიფიკაციის პოლიტიკა ძალიან მნიშვნელოვანია და ამის ერთგულები ვრჩებით და ვაგრძელებთ ამ კუთხით მუშაობას. 2023 წლის მოლოდინი საკმაოდ პოზიტიურია," – აცხადებს ქვრივიშვილი. ქვრივიშვილის თქმით, საქართველოს ტურიზმის სტატისტიკაში მეზობელი ქვეყნების წილი ყოველთვის საკმაოდ მოცულობითი იყო .

„ის დანაკლისები, რომელიც წელს ჩვენიდან დამოუკიდებელი მიზეზების ფონზე გაგვიჩნდა, მაქსიმალურად შევეცადეთ რომ დაგვებალანსებინა." – აცხადებს ქვრივიშვილი. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე მედეა ჯანიაშვილი, რომელიც ბოლო წლებში ხელმძღვანელის მოვალეობასაც ასრულებდა, აცხადებს, რომ ქვეყანამ 2022 წელს 5 მლნ საერთაშორისო მოგზაურს უმასპინძლა.

„ზოგადად 2022 წელი არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე მაღალი კონკურენტუნარიანობით ხასიათდება. კოვიდის შემდეგ პერიოდში ყველა ქვეყანამ აქტიურად დაიწყო ტურისტული ნაკადების მიღება, აღდგენა და მაჩვენებლების კიდევ უფრო გაუმჯობესება. ჩვენთვის 2019 წელი არის სამაზისო მაჩვენებელი, რომელზედაც არამხოლოდ ორიენტირებული ვართ, რომ აღვადგინოთ, არამედ რაც შეიძლება მალე გადავასწროთ კიდეც.

საქართველოსთვის 2019 წელი რეკორდული იყო, რადგანაც 9,4 მლნ საერთაშორისო ვიზიტორს ვუმასპინძლეთ, რაც აისახა შემოსავლებში. ჩვენთვის ეს ამოსავალი წელი იყო, რომ რაც შეიძლება მალე დავბრუნებოდით ამ მაჩვენებლებს. მსოფლიოს ტურიზმის ორგანიზაციის რეკომენდაციით, მსოფლიოს ქვეყნებმა გაწერეს გეგმა, რომ აღდგენა მოხდებოდა 2022-წლიდან 2024 წლის ჩათვლით. 2022 წლის მონაცემებს რომ გადავხედოთ, 5 მლნ საერთაშორისო მოგზაურს ვუმასპინძლეთ უკვე და 56%-იანი აღდგენა გაქვს. ეს მონაცემები კი ძალიან დიდი ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს".

* * *

ტურიზმის აღდგენის დინამიკით კმაყოფილნი არიან აჭარაშიც. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი თინა ზოიძე „კომერსანტთან" აცხადებს, რომ რეგიონში განთავსების ობიექტები საკმაოდ მაღალი დატვირთულობით მუშაობენ.

„2022 წელს ტურიზმის სექტორში ბევრი გამოწვევა იყო. ტურიზმის სექტორს მოუხდა აქტიური მუშაობა იმისთვის, რომ ყოფილიყო მოწოდების სიმაღლეზე, როგორც სერვისის მხრივ ასევე აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა ფრენების აღდგენაზე. შესაბამისად, აჭარის რეგიონს საკმაოდ მაღალი აღდგენის კოეფიციენტი ჰქონდა. პანდემიის მიუხედავად რეგიონს არ შეუწყვეტია მუშაობა ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით. შედეგად 2022 წელს რეგიონს 100-ზე მეტი ტურისტული ობიექტი შეემატება. კარგად გვესმის, რომ როგორც ინფრასტრუქტურა, ასევე სერვისი რჩება გამოწვევად. გეტყვით, რომ სერვისის მხრივ ლოიალობის კოეფიციენტის 10%-იანი ზრდა გვაქვს.

კერძო სექტორში დატვირთულობა გაზრდილია. Airbnb-ს მონაცემებს თუ დავეყრდნობით, ბათუმში10%-ით გაზრდილია, როგორც საცხოვრებელი ადგილების რაოდენობა, ასევე დატვირთულობა. სასტუმროებშიც საკმაოდ მაღალი დატვირთულობა გვაქვს. ზოგიერთ სასტუმროში დატვირთულობა მთელი წლის განმავლობაში 95%-ზე მაღალი იყო", – აცხადებს ზოიძე.

„კომერსანტი"

ხორვატია შენგენის ზონასა და ევროზონას შეუერთდა

ძვეძანა ეროვნული ვალუტა კუნადან ევროზე გადავიდა და ევროზონის რიგით მე-20 ქვეყანა გახდა. ხორვატია რიგით 27-ე ქვეყანაა შენგენის ზონაში, სადაც 400 მილიონამდე ადამიანს წევრ სახელმწიფოებს შორის თავისუფლად გადაადგილება შეუძლია. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ევროზონაში გაწევრიანება ხორვატიის ეკონომიკის დაცვას დაეხმარება. თუმცა, თავად ხორვატები შიშობენ, რომ ევროზე გადასვლა ფასების მატებას გამოიწვევს.

ნოემბერში ხორვატიაში ინფლაციის დონემ 13.5%-ს მიაღწია, რაც სამჯერ უფრო მეტია, ვიდრე მთლიანად ევროზონაში. გარდამავალ 14-დღიან პერიოდში ქვეყანაში კუნა ბრუნვაში დარჩება, რომ მოსახლეობამ მისი ევროზე გადაცვლა შეძლოს. ხორვატია ევროკავშირის წევრი 2013 წლის პირველ ივლისს გახდა.

ბელორუსში მშვიდობის წელი „დადგა“

ბელორუსის არაღიარებულმა პრეზიდენტმა, ალექსანდრე ლუკაშენკომ 2023 წელი „მშვიდობისა და შექმნის წლად“ გამოაცხადა. შესაბამისი საახალწლო განკარგულება ლუკაშენკოს ვებგვერდზე გამოჩნდა.

აღნიშნულია, რომ ბრძანებულებას ხელი მოეწერა „ბელორუსი ხალხის კონსოლიდაციის, საზოგადოებაში მშვიდობისა და შემოქმედებითი მუშაობის იდეების განმტკიცების მიზნით, როგორც ბელორუსის სახელმწიფოს განვითარების მთავარი პირობა“. მომავალი წლის ძირითადი სფეროები იქნება მოსახლეობის სამხედრო-პატრიოტული განათლების სისტემის გაუმჯობესება, მოქალაქეთა და საზოგადოების მშვიდობიანი ინიციატივების ხელშეწყობა, რელიგიათაშორისი დიალოგის ხელშეწყობა, რომელიც უზრუნველყოფს მშვიდობასა და ჰარმონიას ბელორუსის საზოგადოებაში, ბელორუსის ეკონომიკური უპირატესობების დემონსტრირება.

„იხსნის“ რუსეთი მსოფლიოს?!.

რუსეთი დღეს უნდა დაეხმაროს მსოფლიოს, რომელიც სულ უფრო და უფრო მეტად იწევს სულიერ და მორალურ კრიზისში, „იპოვოს ხსნა“, ისევე როგორც ქვეყანამ ერთხელ იხსნა პლანეტა „ფაშიზმის საშინელი ჭირისგან“, – ამის შესახებ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა კირილემ განაცხადა.

„ერთ დროს სწორედ რუსეთმა იხსნა მსოფლიო ფაშიზმის საშინელი ჭირისგან, პირველ რიგში, რუსეთის მსხვერპლთა წყალობით, გამარჯვება მიღწეულია. შესაძლოა, დღეს უფალი მოგვიწოდებს, რომ ჩვენი სულიერი ცხოვრებით, ჩვენი რწმენით, რწმენის ცოდნასთან შერწყმით, რწმენის შეღწევით საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ჩვენც დავეხმაროთ მსოფლიოს, იპოვოს ხსნა, როგორც ჩვენ ეს გავაკეთეთ ფაშიზმის დამარცხებით“, – განაცხადა კირილემ.

მისი თქმით, საერთაშორისო ურთიერთობებმა დღეს „ყველაზე სახიფათო წერტილს“ მიაღწია. პატრიარქის თქმით, ქვეყნები „ურთიერთუნდობლობის ყველაზე რთულ ატმოსფეროში არიან“, ხოლო „დაძაბულობა ისე იზრდება, რომ არსებობს ფართომასშტაბიანი ომის საფრთხე“.

ბუდანოვი სერიოზულად იმუქრება

უკრაინის სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელმა ბუდანოვმა რუსეთის საჰაერო ბაზებზე თავდასხმებზე პასუხისმგებლობა არ აიღო, თუმცა აღნიშნა, რომ ასეთი თავდასხმები გაგრძელდება.

„ჯერჯერობით ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ შეიძლია. მხოლოდ ომის დასრულების შემდეგ“, – განაცხადა კირილ ბუდანოვმა. ბუდანოვმა აღნიშნა, რომ მოხარულია რუსულ ბაზებზე თავდასხმებით და კითხვას, იქნება თუ არა კიდევ თავდასხმები, უპასუხა: **„ვფიქრობ, დიახ. უფრო და უფრო ღრმად.**“

უკრაინის სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელის თქმით, ყირიმი უკრაინის ტერიტორიაა, რის გამოც უკრაინას შეუძლია, გამოიყენოს ნებისმიერი იარაღი, რომელსაც მიზანშეწონილად მიიჩნევს.

ევროპაში გაზის ფასი რეკორდულ მინიმუმამდე დაეცა

ევროპაში გაზის ფასი უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ რეკორდულ მინიმუმამდე დაეცა. 2 იანვრის მონაცემებით, ფასმა ერთ მეგავატ საათზე 72.75 ევრო შეადგინა, რაც აგვისტოს ფასთან შედარებით თითქმის ხუთჯერ ნაკლებია.

აღსანიშნავია, რომ გაზის ფასის კლება დეკემბრის თვეში სტაბილურად გრძელდებოდა. ევროპაში ამას გარკვეულწილად თბილი ზამთრით ხსნიან, რაც ბუნებრივი აირის ეკონომიურად მოხმარების მიზეზი გახდა.

ან სესხი გადაიხადე, ან ომში წადი!!!

რუსეთში, სადაც უკრაინის დაზვერვის თანახმად, მობილიზაციის ახალი ტალღა უნდა დაიწყო, შემუშავებულია გამოძახების კიდევ ერთი სქემა.

როგორც საერთაშორისო სადაზვერვო საზოგადოება წერს, 2023 წლის „ბრწყინვალე საახალწლო სქემა“ შესთავაზეს რუსეთის ფედერაციის ცენტრალურ ბანკებს.

„რუსეთის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარემ, ელვირა ნაბიულინამ გაუგზავნა ბანკებს წერილი მოთხოვნით, მოიწვიონ მოვალეები და გამოიძახონ მობილიზაციისთვის 2023 წლის იანვარში, შესთავაზონ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალებში სამსახურის ხელშეკრულების გაფორმება“, – ვკითხულობთ განცხადებაში.

„ყილოშტყებამი“ – უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ უზადო თარგმანი

„ვეფხისტყაოსანი“ შოთას უკვდავი ქმნილება, საქართველოს ოქროს ხანის მხატვრული და საზოგადოებრივ-ფილოსოფიური აზროვნების გვირგვინს წარმოადგენს. იგი საყოველთაოდ არის აღიარებული მსოფლიო მნიშვნელობის წერილობითი კულტურის ძეგლად, ხოლო მის შესწავლასა და კვლევაძიებას უამრავი სამეცნიერო ნაშრომი მიუძღვნეს, როგორც ქართველებმა, ასევე უცხოელმა რუსთველოლოგებმა. მიუხედავად ამისა, გენიალური შემოქმედისა და მოაზროვნის მიერ შუა საუკუნეების აღმოსავლური და დასავლური კულტურების ორგანულად შერწყმის საფუძველზე ჩამოყალიბებული და განუმეორებელი მხატვრული ოსტატობით გადმოცემული ჰუმანისტური მსოფლმხედველობა იმდენად ღრმა და ყოვლისმომცველია, რომ პოემის მრავალი ასპექტი დღემდე ბოლომდე არ არის გამოკვლეული და დავის საგანს წარმოადგენს.



ისტორიკოსი და პედაგოგი დილარ დაგარგულია მეგრულენოვანი „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემით.

სადღეისოდ მსოფლიო ლიტერატურის მარგალიტი თარგმნილია მსოფლიოს 55 ენაზე (მათ შორის ზოგიერთზე, მაგალითად რუსულად, გერმანულად და ინგლისურად, რამდენჯერმე) და საქართველოსა და მსოფლიოში ხუთასჯერ მაინც არის გამოცემული. ამ თარგმანებმა დიდი პოპულარობა მოუპოვა ქართველ გენიოსს უცხოეთშიც, რაზეც ნათლად მეტყველებს როგორც პროფესიონალ ლიტერატურათმცოდნეთა და კრიტიკოსთა რეცენზიები, ასევე რიგითი მკითხველების აღტაცებული შეფასებები.

„ვეფხისტყაოსანი“ ნათარგმნი და გამოცემულია, როგორც საქართველოში მცხოვრები მსხვილი ეთნიკური ჯგუფების ენაზე (აზერბაიჯანულად, სომხურად, აფხაზურად, ოსურად, ჩეჩნურად, ბერძნულად, ქურთულად), ასევთე ორ ქართველურ ენაზეც – მეგრულად და სვანურად. „ვეფხისტყაოსანი“ სხვადასხვა დროს არაერთხელ ითარგმნა მეგრულ ენაზე და თანაც მაღალ დონეზე. წინამდებარე გამოცემისთვის შეირჩა **ბეჯითი (ბენედიქტე) ჯალაღონიას** თარგმანი, როგორც საუკეთესო რუსთველისეურ ტექსტთან მაქსიმალური სიახლოვის, ავტორის მსოფლმხედველობისა და იდეოლოგიის სრულყოფილად გადოცემის, მისი ღრმა ფილოსოფიური ნააზრევის შეურყვნელად წარმოდგენის, პოემის სიუჟეტური ქარგის განვითარებისა და მოქმედებების უწყვეტი ჯაჭვის შენარჩუნების, პოეტური ენის, რიტმისა და აზრის ჰარმონიულობისა და ლაკონიურობის, ასევე რუსთაველის ლექსის უზადო ტექნიკის შესაფერად გადმოღების თვალსაზრისით.

სამწუხაროდ, თარგმანის ავტორი ვერ მოესწრო მის მიერ უდიდესი რუდუნებით შესრულებული ნაშრომის წიგნად გამოცემას – ბეჯითი ჯალაღონია რედაქტირებული და გამზადებული ტექსტის სტამბაში გადაგზავნამდე გარდაიცვალა. შესაძლოა, ერთგვარი მისტიკური კანონზომიერებაც იყოს იმაში, რომ იგი სწორედ მაშინ შეერია მარადისობას, როცა სრულად ამოწურა თავისი როლი ჩვენი სასიქადულო რუსთაველის დიდებული პოემის მეგრულ ენაზე ახმიანების საშვილიშვილო საქმეში და შთამომავლობას დაუტოვა „ვეფხისტყაოსნის“ გამორჩეული თარგმანი.

სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს ხელმძღვანელი გახლავთ **თენგიზ ხარებავა;** მთავარი რედაქტორები **გივი ქარჩავა** და **გიგა ქავთარაძე;** სარედაქციო გამოცემის წევრები **გურამ ახალაია, კახმეგ კუდავა, რომან თოლორდავა, თემურ ვეკუა, გუჯა გვილავა, ზვიად კვარაცხელია;** წინათქმის მთარგმნელები **გივი ქარჩავა, მედეა საღლიანი, მაია მეგმიშიში** და **ნათია ფონიავა;** ტექსტის გაციფრულება, რედაქტირება და გამოსაცემად მომზადება უზრუნველყო მეგრული ენის ასოციაციამ; გამოცემაში გამოყენებულია **სერგო ქობულაძის** ილუსტრაციები; სპეციალურად ამ გამოცემისათვის დამზადდა 1888 წლის გ. ქართველიშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ ყველა ორნამენტის ციფრული ვერსია, ასევე, მრავალი ახალი თავსამკაული და დაბოლოება. შეიქმნა ახალი შრიფტი – „რუსთაველი“, რომლის პროექტის დიზაინერია კობა კურტანიძე.

დარწმუნებული ვართ, რომ ამ პროექტის განხორციელება მნიშვნელოვანია, როგორც ზოგადად ქართული ლიტერატურის მემკვიდრეობის გამდიდრების თვალსაზრისით, ასევე, „იუნესკოს“ შეფასებით, გაქრობის საფრთხის წინაშე მდგარი მეგრული ენის მხარდაჭერის მიზნებისთვის.

საქველმოქმედო ფონდი „ხარებაა“.

ჩვენი ქვეყნის საზოგადოებამ, სპორტულმა სამყარომ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა თბილისის „დინამოს“ ლეგენდარული ფეხბურთელი ვლადიმერ ბარქაია.



ფეხბურთის არისტოკრატი

ფეხბურთის არისტოკრატი — ასე უწოდებდნენ ფეხბურთის სპეციალისტები და ჟურნალისტები გამოჩენილ სპორტსმენს **ვლადიმერ ბარძაიას**, ნამდვილ ტალანტს, რომელიც გასული საუკუნის 50-60-იან წლებში, როგორც საფეხბურთო შემოქმედი დაუვიწყარ შედევრებს ქმნიდა მწვანე მინდორზე.

ვ. ბარქაია იშვიათი და ნათელი ტაქტიკური აზროვნების მქონე ფეხბურთელი გახლდათ, შეტევის შესანიშნავი ორგანიზატორი „გუნდის დისპეტჩერი“, ანუ როგორც ამ საუკუნის დასაწყისში უწოდებდნენ — პლეიმეიკერი. ჰქონდა მინდვრის იდეალური ხედვა, შეეძლო ბრწყინვალედ ეთამაშა და თანაგუნდელებიც აეყოლიებინა. პარტნიორის თამაშის გამახვილებული შეგრძნება და შესანიშნავი პასის უნარი შეხამებული ჰქონდა უმაღლეს ტექნიკასთან, რაც ძალზე საშიშ ძალად აქცევდა მას როგორც გუნდურ, ისე ინდივიდუალურ თამაშში.



თბილისის „დინამოს“ ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის ვლადიმერ ბარქაიას სანახავად ათასობით მაყურებელი დადიოდა არა მარტო საქართველოს, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის ბევრი ქალაქის სტადიონებზე.

ვ. ბარქაია დაიბადა გაგრაში, სადაც ძალიან უყვარდათ მზე, ზღვა და ფეხბურთი. სპორტის ამ სახეობას მთელი საქართველო ეთაყვანება, მაგრამ გაგრელების დამოკიდებულება განსაკუთრებული იყო, იქნებ იმიტომაც, რომ ამ ულამაზეს ზღვისპირა ქალაქს ფეხბურთის უმდიდრესი ტრადიციები ჰქონდა. სიომას და მის მეგობრებს ბევრი რამ სმენიათ ფეხბურთელ „წინაპართა“ თამაშის შესახებ, რაც ფრიად მნიშვნელოვანი იყო ბავშვური გატაცებისათვის.

ნამდვილი ფეხბურთი გაგრელმა ყმაწვილებმა 1945 წელს ნახეს. ეს გახლდათ „რკინის გუნდი“ — მოსკოვის „დინამო“, რომელიც ის-ის იყო ჩამოვიდა ინგლისიდან და ცნობილი ტურნეს შემდეგ საყოველთაო აღტაცებას იწვევდა.

სიომა იმთავითვე გამოირჩეოდა გააზრებული თამაშით. 1956 წლის გაზაფხულზე გაგრაში საწვრთნელ შეკრებაზე ჩამოსულ კიევის დინამოელთა მაშინდელ მწვრთნელს ოლეგ ოშენკოვს ისე მოეწონა ნიჭიერი გაგრელი მეათეკლასელი ფეხბურთელი, რომ წვევია ბარქაიების ოჯახს და ვაჟიშვილის კიევში წაყვანა შეუთავაზებია, თითქოს შეთანხმდნენ კიდეც — სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ, სულ რაღაც სამ თვეში, სიომა უკრაინის დედაქალაქში უნდა გამგზავრებულიყო. ანალოგიური ვიზიტით ეწვია ბარქაიების ოჯახს ერევნის „სპარტაკის“ უფროსი მწვრთნელი აბრამ დანგულოვიც. საბედნიეროდ, დიდმა ანდრო ჟორდანიამ ორივეს დაასწრო.

ვლადიმერ ბარქაია — ქართული დახვეწილი ინტელექტისა და ჭეშმარიტი რაინდობის ეტალონი, როგორც მწვანე მინდორზე, ისე პირად ურთიერთობაში ყველასათვის მისაბაძი პიროვნება გახლდათ. მადლობა გამჩენს, რომ ბედმა გვარგუნა მასთან მეგობრობა.

ვლადიმერ ბარქაია თავისი თაობის ფეხბურთელებს შორის ყველასგან განსხვავებული იყო. მთელი თბილისის ინტელიგენციას მისი დიდი სიყვარული და განსაკუთრებული პატივისცემა ჰქონდა. ასეა დღესაც. იშვიათად დაიბადება მსგავსი ჭკვიანი ფეხბურთელი. სიომას არაჩვეულებრივი თამაშით დაუვიწყარი მატჩები გვახსოვს, რომლებიც დიდი სიყვარულით აჯილდოვებდა ფეხბურთის ქომაგთ.

ვ. ბარქაია იყო თბილი, კეთილი პიროვნება, თუ ქართული ფეხბურთის ისტორიაში ვინმეს მიუძღვის დამსახურება, სიომა ერთ-ერთი პირველთაგანია.

ფეხბურთის ბევრი ვარსკვლავი გვინახავს და უნდა ვთქვათ, რომ ამ საფეხბურთო თანავარსკვლავედში სიომა ბარქაიას გამორჩეული ადგილი ეჭირა. ნურავინ გვიწყენს, თუ ვიტყვით, რომ იგი საქართველოში პირველი მოაზროვნე ფეხბურთელი გახლდათ: მის განზრახვას ვერავინ იწინასწარმეტყველებდა, საოცრად ეშმაკი იმპროვიზატორი იყო, არაფერს იმეორებდა. ღვთით მომადლებული ალღოთი მოძრაობდა მინდორზე და იმ ერთადერთ გზას ირჩევდა მეტოქის კარისკენ, რომელიც მაქსიმალურად ძაბავდა და ამწვავებდა სიტუაციას. ბარქაიას დიდ ფეხბურთელობაზე ისიც მეტყველებდა, რომ გულშემატკივრები ორ ბანაკად „ სიომისტებად“ და „მესხისტებად“ იყვნენ გაყოფილი და სხვა სადაო არაფერი ქონდათ ქართველებს. თამაშიდან თამაშამდე ცხარე კამათში ვარკვევდით ვინ უფრო დიდი ფეხბურთელი იყო. არადა რა იყო სადავო, ჭეშმარიტება მინდორზე ზეიმობდა. ორივე გენიოსი იყო და საბედნიეროდ, ქართველები იყვნენ.

ვერაფერი დაჩრდილავს ვლადიმერ ბარქაიას თამაშის ბრწყინვალეებას და არც ხალხის სიყვარული აკლდა, რისი ღირსიც სრულიად სამართლიანად ბრძანდებოდა.

1965 წელს მოსკოვში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ ბრაზილიელებთან შეხვედრისას სსრკ ნაკრებში ხუთი ქართველი მონაწილეობდა. მატჩის დასრულების შემდეგ მისეილ ზარგარიანმა ისტორიული ფოტო შემოგვინახა — პელე და ოთხი ქართველი. სიომა მეორე ნახევარში გამოცვალეს და მან აღარ იკადრა ფოტოს გადასაღებად მინდორზე გასვლა. აქაც გამოჩნდა მისი ხასიათი.

> ფეხბურთის სპეციალისტების აზრიც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია: „ცენტრალური თავდამსხმელებიდან გამოვყოფდი ვლადიმერ ბარძაიას — შესანიშნავ მოთამაშეს, ძლიერს როგორც ტექნიკურად, ისე ტაქტიკურად და აძვე მინდა დავძინო, რომ ბორის პაიჭაძის შემდეგ ასეთი ძლიერი ცენტრფორვარდი ჩვენ არ გვყოლია (ანდრო ჟორდანია).
>
> „ვლადიმერ ბარძაია ერთადერთია, რომელსაც მინდორზე კონკრეტული დავალებით არ ვზღუდავ. ეს გონიერი ფეხბურთელი ყველაფერს თვითონაც მშვენივრად აკეთებს. იგი ფართო დიაპაზონის მოთამაშეა, „შენობით“ არის ბურთთან, აძვს ბრწყინვალე ტექნიკა და წმინდა ბრაზილიური იმპროვიზაციის უნარითაა დაჯილდოებული“ (გავრილ კაჩალინი).
>
> „ბარძაია გახლდათ ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა და გამოჩენილი სპორტსმენი. როდესაც გაგრაში ვიწყებდი ჩემს საფეხბურთო კარიერას, ბევრი რამ ვისწავლე მისგან, ეხებოდა ეს ტექნიკასა თუ ბურთის ტარებას. შემთხვევითი არ იყო, რომ თბილისის „დინამოს“ წამყვანი ფეხბურთელი მიიწვიეს სსრკ ნაკრებში, სადაც ბრწყინვალედ იასპარეზა. თამამად უნდა განვაცხადო, რომ ჩემი უფროსი ძმა სიომა ბარძაია — ფეხბურთის გენიოსი და დიდი პიროვნებაა.“ (გიორგი სიჭინავა).

ყურადსაღები და მრავლისმთქმელია ნოდარ ახალკაცის სიტყვები: „ვლადიმერ ბარქაია ისეთ ფეხბურთს თამაშობდა, როგორსაც ასი წლის შემდეგ ითამაშებენ.“

ვლადიმერ ბარქაია თბილისმა შეისისხლხორცა, შეიყვარა და განადიდა, თუმცა ყველამ ვიცოდით, რომ მისი უდიდესი სიყვარული მაინც გაგრა გახლდათ. ბოლო წლებში ხშირად იგონებდა მშობლებს, თავის სახლს და რაოდენ სამწუხაროა, რომ ისე გადავიდა ზეციურ საქართველოში, რომ ოცნება აღუსრულებელი დარჩა.

ჩვენ კი სანამ სული გვიდგას, არასოდეს დავივიწყებთ ტყავის ბურთის ჯადოქარს — **ვლადიმერ ბარძაიას.**

დემიკო ლოლაძე, ჯუმბერ პატიაშვილი, გიორგი კვესიტაძე, როინ მეტრეველი, რამაზ ხუროძე, თამაზ შილაკაძე, ელიზბარ ჯაველიძე, ლევან ჯაფარიძე, ვალერი ასათიანი, რამაზ ხეცურიანი, ვახტანგ ვეფხვაძე, ალიკო ოღლიშვილი, ოთარ ბრეგვაძე, სერგო გეგეჭკორი, ვაჟა აზარაშვილი, ზაზა ჩიქოვანი, არჩილ გოგელია, ივა ბერაძე, ჯიმი ყიფიანი, დემურ ყიფიანი, თამაზ ყიფიანი, ბადრი წილოსანი, ავთანდილ წილოსანი, ჯემალ ბაღაშვილი, ალიკო ლაბარტყავა, ლაურ ჯანაშია, მერაბ ახობაძე, თენგიზ გაჩეჩილაძე, ანზორ დარასელია, შალვა მგალობლიშვილი, ელგუჯა ბერიშვილი, ნუგზარ ვორონოვი, სოსო ხარებოვი, ოთარ ჭითანავა, შალვა ალავიძე, თემურ ქოჩიაშვილი, ნოდარ ჭყონია, თეიმურაზ ხუროძე, თამაზ კუჭავა, გივი ნაცვლიშვილი, გივი მაზიაშვილი, ზურაბ მაჩაიძე, გივი მაისურაძე, კოტე ვეფხვაძე, ვალერი კობახიძე, გელა გელაძე, ომარ პაიჭაძე, ბუსკა გეწაძე, დემურ ცქიტიშვილი, თამაზ დაუშვილი, ჯუმბერ ბერაძე, გელოდი კობალაძე, ვალერი მუძერია, ცეზარ შევარდნაძე, თამაზ გოგინაშვილი, გურამ სალარაძე, თემურ ხუბულური, დათო გაგელია, ზურა შხვაცაბაია, ჯემალ კალანდაძე, გურამ კაკულია, ილო ხუციშვილი, გივი შულაროვი, ნუკრი კეკუა, თეიმურაზ ქორიძე, გივი სიხარულიძე, რეზო ბერაძე, კობა ამირხანაშვილი, თამაზ მოწონელიძე, დათო ქლიბაძე, ვარდო ვარდიაშვილი, ზაქრო ავალიშვილი, ვოვა კერესელიძე, პაატა ცისკარიშვილი, ომარ სიამაშვილი, გივი შეყილაძე, მურაზ მურვანიძე, ამირან გუაძე, დიმა კოტეტიშვილი, თემურ გოგიბერიძე, თამაზ გელაშვილი, კუკუშა გვასალია, კოკი კეკელიძე.

სანთელი

ტკივილით გავაცილეთ



მსოფლიოს ჩემპიონატით მოგვრილი სიამოვნება უდიდესმა ტრაგედიებმა ჩაგვაშხამა, რამაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ამქვეყნიური სიამენი წარმავალია და მონარქნიც კი უძლურნი არიან უფლის ნების წინაშე.

ბუნებრივია, მიხვდით, რომ უპირველესად ფეხბურთის მეფის აღსასრულს ვგულისხმობთ, რომელიც ნაწლავის სიმსივნემ სან-პაულუს ალბერტ აინშტაინის კლინიკაში იმსხვერპლა. მოგეხსენებათ, პელე ერთადერთია, ვინც სამი მუნდიალი მოიგო და 1363 მატჩში 1281 გოლი გაიტანა.

როგორც ყველა მოკვდავს, მასაც ჰქონდა სისუსტეები. მეტიც — ბევრი თანამემამულე ცოდვად უთვლიდა ხალხის სიხარულის — გარინჩას დაკრძალვაზე ჩაუსვლელობას ტოკიოში საქმიანი შეხვედრის მომიზეზებით, მაგრამ ბრაზილიაში გლოვის გამოცხადება იმის ნიშანია, რომ ყავის სამშობლომ აღნიშნული ფაქტი შეუნდო და ლეგენდები იმქვეყნად თავად გაარკვევენ ერთმანეთში მტყუან-მართალს.

ყატარის ფორუმის დასრულებიდან ათიოდე დღეში თაობათა კერპის გარდაცვალება სიმბოლურ კითხვასაც აჩენს — ტახტი ახალი გვირგვინოსნის — ლეო მესისთვის ხომ არ განთავისუფლდა?

ამ სიტყვების თქმისას მარადონას თაყვანისმცემელთა ფაქტორიც გასათვალისწინებელია, მაგრამ მათთვის ხომ დიეგო სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობის ღმერთია?

თითქოს ეს ფსიქოლოგიური დარტყმა არ ყოფილიყოს საკმარისი, რომ მეორე დღესვე გავრცელდა თავზარდამცემი ინფორმაცია 1964 წლის ტაშკენტის ტრიუმფის ერთ-ერთი შემოქმედის ვლადიმერ ბარქაიას დაკარგვის შესახებ. აფხაზური საფეხბურთო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელმა დარდად მშობლიურ გაგრასთან ხანგრძლივი განშორება გაიყოლა, მაგრამ, ვიმედოვნებთ, იმ საამაყო გუნდიდან ცოცხლად შემორჩენილი უკანასკნელი მოჰიკანი ჟორა სიჭინავა მაინც, რომელიც ასევე იქაური მკვიდრია, მოესწრება მეგობრისა და თანადინამოელის სანუკვარი ოცნების ასრულებას.

დიდი დანაკლისი განიცადა მოჭიდავეთა საძმომაც — დედაქალაქის სპორტკომიტეტის ყოფილი თავკაცის, ხალიჩის ჭეშმარიტი რაინდის ვლადიმერ კანკავას სახით უკვდავების ბინადარი გახდა ჩვენი რედაქციის ძველი მოკეთე და სასურველი ავტორი.

გვაკმაროს!

„სრ“ სპორტის რედაქცია

ქალაქ თბილისში მცხოვრები ფოთელთა საზოგადოების გამგეობის წევრები **სპარტაკ გოგინავა, ჯემალ კვირტია, ჯიმი ქვარცხავა, მერაბ ზამბახიძე, ჯემალ კახიანი, გივი აბდუშელიშვილი, იური ალანია, გია სვანიძე, გულთაზ ლაბარტყავა, ლია წურწუმია, ბესლან ქორქია, პეტრე ბერაია, ვახტანგ ჩიქოვანი, თენგიზ უჩანეიშვილი** იუწყებიან, რომ ამავე საზოგადოების ღირსეულ წევრს, თავის ქვეყანასა და კუთხეზე უზომოდ შეყვარებულ, საზოგადოებაში გამორჩეული ოჯახის თავკაცს, აწ განსვენებულ ანზორ შონიას გარდაეცვალა მეუღლე, სათნოებითა და ღირსებით აღსავსე ქალბატონი

დიანა კვირტია-შონიასი

სამძიმარს უცხადებენ მწუხარებაში მყოფ ოჯახის წევრებს და სხვა ჭირისუფალთ. ღმერთო, ნათელში ამყოფე მისი სპეტაკი სული.

გარდაიცვალა რომის ყოფილი პაპი ბენედიქტ XVI



რომის ყოფილი პაპი ბენედიქტ მე-16 ვატიკანის რეზიდენციაში 95 წლის ასაკში გარდაიცვალა. შესაბამის ინფორმაციას წმინდა საყდარი ავრცელებს. ბოლო დღეების განმავლობაში ბენედიქტ მე-16-ის ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად იყო გაუარესებული. ოთხშაბათს, ქადაგების დროს რომის პაპმა ფრანცისკემ მრევლს ემერიტუსი პაპისთვის ლოცვისკენ მოუწოდა. ბენედიქტ მე-16 კათოლიკური ეკლესიის წინამძღოლი 2005 წლიდან იყო. 2013 წელს ის პირველი რომის პაპი გახდა 600 წლის განმავლობაში, რომელმაც პოსტი დატოვა. მან სიცოცხლის ბოლო წლები ვატიკანის ერთ-ერთ მონასტერში გაატარა. პაპი გუშინ წმინდა პეტრეს ტაძარში დაკრძალეს.

სატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვზე შემოწმების სტანდარტი მკაცრდება!

პირველი ივნისიდან, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები გზებზე მანქანების გამონაბოლქვის კონტროლს განახორციელებენ.

გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებათა გადაჭარბების შემთხვევაში კი, საჯარიმო სანქციები დაწესდება. კონტროლი საწყის ეტაპზე, ქვეყნის დიდ ქალაქებში განხორციელდება.

პასუხისმგებლობა ენიჭება საოკუპაციო ძალას!

რუსეთის საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კოშკის მიმდებარე ოკუპირებულ ტერიტორიაზე უკანონოდ დააკავეს საქართველოს ორი მოქალაქე, — ამის შესახებ ინფორმაციას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ავრცელებს. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, აღნიშნულის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გააქტიურდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მიერ ოპერირებული ცხელი ხაზი.

„ამასთან, ინციდენტის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობა საერთაშორისო პარტნიორებსა და ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თანათავმჯდომარეებს. ამოქმედებულია ყველა არსებული მექანიზმი უკანონოდ დაკავებულების უმოკლეს ვადებში გასათავისუფლებლად. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ისევე როგორც საოკუპაციო ხაზის გასწვრივ ჩადენილ დესტრუქციულ ქმედებებზე პასუხისმგებლობა ეკისრება საოკუპაციო ძალას“...

ფეხბურთის ლეგენდა



წავიდა კიდევ ერთი ქართული ფეხბურთის ლეგენდა

ვლადიმერ (სიომა) ბარქაია

ჩვენ ვამაყობთ, რომ ვიცნობდით და ვმეგობრობდით ამ უიშვიათეს, მართლაც უნიკალურ ადამიანთან.

მეგობრების და გულშემატკივრების სახელით

ა. გოგელია, ი. ოსიპოვი, ა. ოღლიშვილი, გ. კოსტავა, გ. ცაგარელი, ზ. ცქიტიშვილი, რ. გილიგაშვილი, ჯ. კალანდაძე, ლ. ჯიბუტი, ფ. სულაბერიძე, თ. კიკალიშვილი, თ. უთმელიძე, ზ. კუპრაშვილი, ზ. მჭედლიძე, დ. სახვაძე.

ზოია, გივი შეყილაძეები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ქართული ფეხბურთის კოლორიტისა და ლეგენდის

ვლადიმერ ბარქაიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

სისხლიანი ახალი წელი მესტიასთან, ეცერში!!!

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მესტიაში მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით ორი პირი დააკავეს.

„განზრახ მკვლელობის ბრალდებით დაკავებულნი არიან: 1952 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი რ.ა. და 1997 წელს დაბადებული გ.ც. დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 1 იანვარს მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეცერში ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე რამდენიმე პირს შორის დაპირისპირება მოხდა, რა დროსაც ცეცხლსასროლი იარაღიდან მიყენებული ჭრილობით გარდაიცვალნენ 1989 წელს დაბადებული გ.ა. და 1993 წელს დაბადებული გ.პ. ხოლო 1998 წელს დაბადებულმა რ.პ.-მ ჯანმრთელობის დაზიანება მიიღო.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულში ბრალდებული ორივე პირი ცხელ კვალზე დააკავეს“...

განცხადება

2023 წლის 26 იანვარს, 13 საათზე, თბილისში, სტანისლავსკის ქ. 11-ში ტარდება თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის წარმომადგენელთა კრება

დღის წესრიგი

1. თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის შპს „ღრმაღელეს“ ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების გასხვისების შესახებ.
2. განცხადებები

კოოპერატივის გამგეობა.

გია მურღულია:

მობილური, ვითარცა ურო ბავშვებისა და იმათი მშობლების თავში!

მოგილური ტელეფონი გაკვეთილზე (თუ სწავლების მიზნით მოთხოვნილი არ არის) ისევე ზედმეტი და დამაზიანებელია, როგორც ურო მზარეულის მაგიდაზე. – ამის შესახებ ფილოლოგი, ჰუმანიტარული აკადემიის ხელმძღვანელი **გია მურღულია** სოციალურ ქსელში წერს.

„ის მოსწავლის ყურადღებასა და განწყობას სრულად აშორებს სასწავლო და აღმზრდელობით პროცესს.

როდესაც მასწავლებელი გაკვეთილს ხსნის (ან სხვა ნებისმიერ თემას ეხება), მოსწავლე კი ამ დროს მესიჯებს აგზავნის და იღებს ანუ გონებრივად და ემოციურად სხვაგან იმყოფება, ეს თავად სკოლის იდეას ამახინჯებს – ამ დროს პედაგოგისა და ბავშვის კომუნიკაციის ხარისხი ძალიან დაბალია ან საერთოდ არ არსებობს.

არის ქვეყნები, რომლებშიც მობილურ ტელეფონებს ბავშვები სკოლებში მოსვლისთანავე აბარებენ ადმინისტრაციას, დაცვას ან მასწავლებელს.

არის ისეთი ქვეყნები, რომლებშიც მათი მიტანა სასწავლო დაწესებულებაში საერთოდ აკრძალულია. საქართველოში, ამ მხრივ (ისევე, როგორც სხვა სფეროებში), მოქმედებს პრინციპი: „რა მოხდა მერე“.

საქმე იქამდე მივიდა, რომ გაკვეთილზე მასწავლებლის შენიშვნას – ტელეფონით ნუ საუბრობ ან მესიჯებს ნუ აგზავნიო – მოსწავლეები შეურაცხყოფად და ბავშვთა უფლებების უხეშ დარღვევად მიიჩნევენ.

გარდა უკიდურესად გამონაკლისი შემთხვევებისა, ეს, რა თქმა უნდა, რაციონალიზმისა და უბრალო ეთიკის ფარგლებს სცდება.

ბევრ სკოლას შინაგანაწესში უწერია, რომ მობილური ტელეფონის გამოყენება გაკვეთილზე ბავშვისთვის (მასწავლებელსაც იგივე ეხება) აკრძალულია, თუმცა ამ წესს, პრაქტიკულად, არავინ იცავს.

ამდენი იმიტომ დავწერე, რომ ვთქვა: სკოლის აკადემიურ წარმატებას (ისევე, როგორც მოსწავლისა და მასწავლებლის გონივრულ და ემოციურ კომუნიკაციას) მობილური ტელეფონი ხელს უშლის და მისი გამოყენება გაკვეთილზე უპირობოდ უნდა შეიზღუდოს.

მოვისმენდი საწინააღმდეგო არგუმენტებს, მაგრამ, მგონი, ისინი საერთოდ არ არსებობს.“

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟავჟავაძის გამზირი №17ი

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

პიცა... უფასოდ

სწრაფი კვების ობიექტის მეპატრონე მთელი იანვარის განმავლობაში ხალხს პიცას უფასოდ სთავაზობს.

55 წლის მარკ ვილკინსონი ედინბურგში, მორნინგსაიდში სწრაფი კვების ობიექტის მფლობელია. მან დიდი ალტრუისტული ქმედება დაგეგმა ხალხისთვის, რომელსაც დღეს ფინანსური კრიზისი აქვს. მისი თქმით, ეს მისი თანამშრომლებისთვისაც მომგებიანია.

„ძალიან მომწონს ჩემი წამოწყება, რადგან ეს ყველასთვის გამარჯვებაა, როგორც კლიენტისთვის, ისე მომმარაგებლისთვისა და ჩემი გუნდის წევრებისთვის, რადგან მათ მეტი სამუშაო საათი გამოსდით“, – ამბობს ვილკინსონი.

„გამუდმებით მესმის, როგორ აისახება გაძვირებული ცხოვრება ხალხზე, ამიტომ ვიფიქრე, რომ ჩემი ღუმელები ისედაც მთელი დღე მუშაობს და მათ შეუძლიათ მეტი დატვირთვით იმუშაონ, თუ ეს ხალხს დაეხმარება. ალტრუიზმი ძალიან მაინტერესებს, ამიტომ გადავწყვიტე მეცადა“, – განაცხადა ვილკინსონმა. მისი თქმით, ეს წამოწყება დაახლოებით 12 000 ფუნტი სტერლინგი დაჯდება. ვილკინსონი, რომელმაც გიზნესი „ლოქდაუნის“ დროს, 2020 წლის მარტში წამოიწყო, ამბობს, რომ მის ობიექტს 6 წუთში 18 პიცის წარმოების რესურსი აქვს. ხალხი, რომლებიც ვილკინსონის ობიექტს ეწვევა, უფასო პიცას იანვრის განმავლობაში მიიღებს.

ლომვეშაპმა საახალწლო ფოიერვერკი „გააუქმა...“

ინგლისში, ქალაქ სკარბოროს მთავრობამ საახალწლო ფოიერერკი ლომვეშაპის გამო გააუქმა. უზარმაზარი ცხოველი ქალაქში ახალ წლამდე რამდენიმე დღით ადრე გამოჩნდა და ადგილობრივ პორტში დაიდო ბინა. ფოიერვერკის გაუქმება ქალაქის ადმინისტრაციას ბრიტანეთის ზღვის ცხოველების მაშველთა საზოგადოებამ ურჩია. სპეციალისტები შიშობდნენ, რომ ხმაური ლომვეშაპის ფსიქიკას დაზიანებდა.

სპეციალისტების თქმით, ეს არქტიკის ბინადრის ჩრდილოეთ ინგლისში გამოჩენის სავარაუდოდ პირველი შემთხვევაა. მათივე ვარაუდით, ეს სწორედ ის ლომვეშაპია, რომელიც დეკემბრის დასაწყისში ინგლისის სამხრეთით შენიშნეს, მანამდე კი ნიდერლანდებსა და საფრანგეთში. ხალხმა მას თორი შეარქვა. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ თორი მშობლიურ არქტიკაში ბრუნდება, სკარბოროში კი სავარაუდოდ რამდენიმე დღით, შესასვენებლად გაჩერდა.

პრინცესა დაიანას ჯვარი აუქციონზე გაიყიდება

პრინცესა დაიანას ჯვარი, რომელიც ამეთვისტოებითა და ბრილიანტებით არის ინკრუსტირებული, Sothebys-ის აუქციონზე გაიყიდება. სამკაული, რომელიც საიუველირო სახლ Garrard-ს ეკუთვნის, 120 000 გირვანქა სტერლინგად არის შეფასებული. აუქციონი 6 იანვარს გაიმართება.

აუქციონზე გასაყიდი კოლიე პრინცესა დაიანას 1987 წელს, საქველმოქმედო მეჯლისზე ეკეთა.



რუსები ვალერი მელაძეს მოქალაქეობას ართმევენ

რუსი სენატორი, ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის წევრი ელენა აფანასიევა მიიჩნევს, რომ მომღერალ ვალერი მელაძეს რუსეთის მოქალაქეობა უნდა ჩამოერთვას.

პროკრემლისტური მედიასაშუალება „ტასი“ წერს, რომ „ვალერი მელაძე რუსეთის ფედერაციაში აკრძალული უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაციის სლოგანს შეძახილით პასუხობს“.

„ამისთვის კი, ვალერი მელაძეს რუსეთის მოქალაქეობა უნდა ჩამოერთვას“, – აცხადებს რუსი სენატორი. ამასთან, უკრაინული მედიის ინფორმაციით, ვალერი მელაძემ დუბაიში გამართულ კონცერტზე შეძახილს „დიდება უკრაინას“ „დიდება გმირებს“ უპასუხა. რუსეთში ვალერი მელაძის ამ ქმედებას ღალატი უწოდეს.

როგორი იყო ყველაზე ძლევამოსილი ფარაონი?



მეცნიერებმა ეგვიპტის ყველაზე ძლევამოსილი ფარაონის, რამზეს II-ს სახის რეკონსტრუქცია განახორციელეს. ეგვიპტელი და ბრიტანელი მეცნიერები გაერთიანდნენ იმისთვის, რომ მეფის ვიზუალიზაცია მოეხდინათ, თუ როგორი იქნებოდა ის გარდაცვალების დროს. მათ ამისთვის ფარაონის თავის ქალის 3D მოდელი გამოიყენეს.

როგორც მეცნიერებმა მოგვიანებით აღნიშნეს, თავდაპირველი ვიზუალის მიღების შემდეგ, მოდელი თითქმის ნახევარი საუკუნით დაბერეს, რადგან ფარაონის ვიზუალი მისი მმართველობის ზენიტში ყოფნის დროს ეჩვენებინათ. მეცნიერების განმარტებით, ფარაონის მუმიისთვის „სახის მინიჭება“ მეფის გაადამიანურებას უწყობს ხელს და საზოგადოებას მასთან კავშირის დამყარების საშუალებას აძლევს.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხვალ, 5 იანვარს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7020; ევრო - 2.8844;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2581;
100 რუბლი - 3.6770; თურქული ლირა - 0.1443;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5924;
1000 სომხური დრამი - 6.8513

ამინდი 4 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-3,	დღე	+12
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+15
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+2,	დღე	+16
მთიანი რაიონები -	ღამე	-2,	დღე	+15
თბილისი:	ღამე	+1,	დღე	+15

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge